

619 /
1952 / 8

დროშა




საქართველოს
წიგლიწერეთა
კავშირის გაზეთი

№ 8 აგვისტო 1952



ქართული
საბჭოთა



ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის საზეიმო გახსნა. თბომაგალი „იოსებ სტალინი“ შედის პირველ რაზში. (საკდესის ფოტოკრონიკა).

კრასნოარმეისკი. ვოლგა-დონის არხზე 1952 წლის 1 ივლისს.
ფოტო მ. კვირიკაშვილისა.



გარეკანის პირველ გვერდზე: რიცას ტბა; მეოთხე გვერდზე:
ბორჯომი. საერთო ხედი. ფერადი ფოტო გ. რაზმაძისა.

ჩართულ გვერდებზე: მოქანდაკე გ. კორძაია — ვ. მაიაკოვსკი;
მოქანდაკე კ. მერაბიშვილი — ლადო კეცხოველი.

საკავშირო კ. პ. (ბ) ყველა ორგანიზაციის საყურადღებოდ

ამ დღეებში მოსკოვში გაიმართა საკავშირო
კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა
დაადგინა მოწვეულ იქნას 1952 წლის 5 ოქტომ-
ბერს საკავშირო კ. პ. (ბ) მორიგი XIX ყრილობა.

XIX ყრილობის დღის წესრიგი:

1. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის
საანგარიშო მოხსენება — მომხსენებელი ცენტრა-
ლური კომიტეტის მდივანი ამხ. გ. მ. მალენკოვი.

2. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური სარევი-
ზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება — მომხსე-
ნებელი სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე
ამხ. პ. გ. მოსკატოვი.

3. პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ
კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მე-

ხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ — მომხსენე-
ბელი სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდო-
მარე ამხ. მ. ზ. საბუროვი.

4. ცვლილებები საკავშირო კ. პ. (ბ) წესდე-
ბაში — მომხსენებელი ცენტრალური კომიტეტის
მდივანი ამხ. ნ. ს. სრუშჩოვი.

5. პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩე-
ვები.

ნაკომუალენლობის ნორმა და ყრილობის დელეგატთა პარტიის წესი:

1) ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმით პარტიის
5.000 წევრზე;

2) ერთი დელეგატი სათათბირო ხმით პარტიის
წევრობის 5.000 კანდიდატზე.

3) XIX პარტიული ყრილობის დელეგატები
აირჩევიან პარტიის წესდების თანახმად დახუ-
რული (ფარული) კენჭისყრით.

4) რუსეთის სფსრ პარტორგანიზაციები დელე-
გატებს აირჩევენ ოლქების, მხარეებისა და ავტო-
ნომიური რესპუბლიკების პარტიულ კონფერენ-
ციებზე. სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში დელე-
გატებს აირჩევენ საოლქო პარტიულ კონფერენ-

ციებზე ან მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიე-
ბის ყრილობებზე — მოკავშირე რესპუბლიკათა
კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების შეხე-
დულებისამებრ.

5) კომუნისტები, რომლებიც საბჭოთა არმიის,
სამხედრო-საზღვაო ფლოტის და სახელმწიფო
უშიშროების სამინისტროს სასაზღვრო ნაწილების
პარტიულ ორგანიზაციებში ირიცხებიან, პარტიის
XIX ყრილობის დელეგატებს აირჩევენ დანარჩენ
პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად საოლქო,
სამხარეო პარტკონფერენციებზე ან მოკავშირე
რესპუბლიკათა კომპარტიების ყრილობებზე.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ი. სვანიძე**

5723





ქართული პურის ბარათი

ბრიგოლ ჩიქოვანი

„... დადგება დრო, როდესაც აღამაზნა
ქნება უფლება სოჭვასა მიწა შევქმენი
მე ჩემი გონებით და ჩემი ხელით...“

მ. გორკი

ივლისში და აგვისტოში სოფლად სიწყნარეა. წელს განსაკუთრებით იგრძნობა ეს სიწყნარე წითელწყაროს რაიონში. აქ ახლა გზებზე, ორღობეებსა და ეზოებში ადამიანის ჭაჭანება არაა. გამოკეტილია სახლები. ვერ ნახავ ხის ჩრდილში შეფარებულ მოხუცს, ვერ გაიგონებ ბავშვების ჭივილ-ხივილს. სიცხისაგან ენაგადმოვლებულ ძაღლს თუ მოკრავ თვალს ღობის ძირში ან აივნის ქვეშ მიგდებულს.

დიდი და პატარა შირაქის ველზე, ზილიჩასა და ტარიბანის მინდვრებზეა გასული. არ დარჩენილა სოფელში არც ბავშვი, არც მოხუცი. ყველამ ყანას მიაშურა. არავის ახსოვს შირაქში, ზილიჩასა და ტარიბანზე ასეთი უხვი პური. მინდვრის 150 ცისფერი ხომალდი მკას ვერ აუღის, ორასი სატვირთო მანქანა სახელმწიფო ელევატორამდე პურის მიზიდვას ვერ ასწრებს. მიაქვთ და მიაქვთ მინდვრებიდან დოღის პური, მაგრამ კალოებზე ამართულ ხორბლის მთებს მაინც არ აკლდება. კომბაინების ბუნეკრებიდან შეუწყვეტელ ნაკადად მოდის მარცვალი, იზრდება ხვავის განი და სიმადლე. ზვიადად დგანან ხორბლის ოქროსფერი მთები.

მზე თითქოს გალღვავა, არა ჩანს გაგარვარებულ, გამოსუნებულ ცაზე. არ მოძრაობს ჰაერი.


სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნიკო ყოჩიაშვილთან ერთად ზილიჩადან გზრუნდებით. მანქანა სწრაფად არბის აღმართს. გზის ორივე მხარეს ამართულია სიმძიმისაგან თავთავებდახრილი პურის დამტვერილი ქეღელი.

მანქანის სპიდომეტრი ორმოც კილომეტრს უჩვენებს, მაგრამ მაინც გვისწრებენ ხორბლით დატვირთული ქუთაისის, მოსკოვის, და მინსკის ქარხნების სატვირთო მანქანები. ისინი სტვენითა და შუილით ჩაგვიქროლენ ხოლმე, გახუნებული სქელი მტვრის გრძელ კუდს მოგვიქნევენ და უმაღლე უჩინარდებიან მტვერში.

მანქანები მარტო ჩვენს „ბობედას“ როდი უსწრებენ. ისინი ცდილობენ ერთმანეთი მოიტოვონ; კოლმეურნეობები ისწრაფვიან — ბირველმა შეასრულონ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა.

ნიკო ყოჩიაშვილს ფარული სიამაყით ეღიმიება. მან რაიონში ბირველმა შეასრულა მარცვლეულის ჩაბარების გეგმა. განა საამაყო არის ერთმა კოლმეურნეობამ რამდენიმე დღეში სახელმწიფოს 125.000 ფუთი პური მისცეს!

— კაცს არაფერი გაუკვირდება, — მეუბნება თავმჯდომარე. მისი ვაჟ-კაცურა, მზუკიკუბული სახე დაუჭრებელია. მის ღონიერ, გოლიათურ ხელებში, ისეთი პატარა ჩანს მანქანის საჭე, რომ იგი სათამაშო გეგონებდა. — რამდენავე წლის წინათ ამ გზებზე შირაქის ნავთის სარეწაოს ერთი ან ორი მანქანა თუ გაივლიდა დღეში, ახლა მარტო ჩვენი კოლმეურნეობის თექვსმეტი სატვირთო მანქანა დაჰქრის, თოთხპეტი კომბაინი მუშაობს ჩვენს მინდვრებზე, — თავმჯდომარე ჩემკენ ამოზრუნდა: — იცით, მაინც არ მყოფნის მანქანები. შარშანწინ 632 ჰექტარზე გვეუხსა პური. წელს კა 3140 ჰექტარზე გვიუხსია. აი, როგორი ნაბიჯით მივდევართ წინ, — გაიღიმა, — კომუნისმის ნაბიჯით...



სოფელი ჯაფარიძე. ორი წელიწადია არ გყოფილვარ აქ. გამოცვლილა სოფელი: ახალი სახლები, ახალი სკოლა, ქუჩები, ჩვენ კოლმეურნეობის გამგეობის კანტონ-რაში შევიდით.

კანტონში დარაჯის მეტი არავინ იყო. სანამ თავმჯდომარის ოთახში შევიდოდით, იქიდან ტელეფონის გაბმული ზარის ხმა მოგვესმა.

დარაჯმა კარი გაგვიღო. თავმჯდომარე მიღს დაწვდა: მესამე ბრიგადის ბრიგადირი ტომრეზი თხოვლობდა.

ყოველ სატრაქტორო ბრიგადის თავისი საველ რადიოაპარატი „უროჟაი“ აქვს და მას ყოველწამს შეუძლია დაელაპარაკოს რაიონის ხუთივე მტს-ს და მინდრებზე გაფანტულ სატრაქტორო ბრიგადებს. ბრიგადირი წითელწყაროს მანქანა-ტრაქტორთა სადგურს დალაპარაკებია და ახლა იქიდან ურეკავდნენ თავმჯდომარეს, სასწრაფოდ მიეშველებათ ტომრეზი.

— კაცი არა მყავს, რომ ტომრეზი გავგზავნო, — მითხრა თავმჯდომარემ და საათი დახედა. — მე უნდა წავიღო. აბა, — მიუბრუნდა დარაჯს. — ბელელში სამოცი ახალი ტომარა დევს სასწრაფო. ორმოცი დათას გამოარომე, სწრაფად!

— თქვენ რომ კომბაინერ ილო თარაშვილის ნახვა გინდოდა, სწორედ მესამე ბრიგადაში მუშაობს. მის მომკილ პურს არ ყოფნის ტომრეზი...

ჩვენი მანქანა ქართული პურის ყველაზე დიდ ბელელზე — შირაქის ველზე გარბის. ასე მიდრეკილად, ასე ლამაზად შემოსილი ეს ველი ჯერ არავის უნახავს. საითაც გაიხედავ, სადაშვედ მიგიწვდება თვალი, — პურის კედელი დგას. ღვას ქართული „დოლი“—35-44“ თავთავსაგს და თავთავშიმე. ალაგ-ალაგ მწვანე ფეხები ლივლივებს. მუქი, მსხვილტანიანი სიმინდის ყანა უძრავად გარინდულა პაპანებში. სინის ოდენა მწესუმწარას მზისკენ მიუქცევია საგსე გული. ბრწყინავს შირაქის ველი თავისი დიდი სილამაზით.

ძელი დასაჯერებელია, რომ ეს ველი სულ ცოტა ხნის წინათ არ იხებებოდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე შირაქის მიწები კულაკ მეურავთა საძოვრები იყო. მიწა გლეხის რომ ყოფილიყო კიდევ, მაინც ვერ გატყებდა თავისი პრიმიტიული გუთნით უხსოვარ დროიდან ხელუხლებ ყამირს. მხოლოდ მანქანას შეეძლო ამ ველის დამორჩილება.

წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეებმა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკებმა ადრე შეატყვეს, რომ ყანები წვლს უხვ მოსავალს მისცემდათ და მაისის ბოლო რიცხვებში სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონული თათბირის მონაწილეებმა წინადადებით მიმართეს თბილისის ოლქის კოლმეურნე გლეხობას, მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშაკებს, საბჭოთა მეურნეობის სპეციალისტებს—ხორბლის უდნაკლისოდ აღებისა და პურის დამზადების სახელმწიფო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

წითელწყაროელები მიმართავს რომ ადგენდნენ, კომბაინერმა ილო თარაშვილმა და ტრაქტორისტმა ისაკ გოგიაშვილმა ვალდებულება აიღეს „სტალინეც—6“ მარკის კომბაინით 450 ჰექტარზე აეღოთ პური. მაგრამ როცა მათზე მიმავრებულ ფართობს გაეცნენ, დაინახეს რომ 150 კომბაინით წითელწყაროს რაიონის პურის აღება შეუძლებელი გახდებოდა, თუ ყოველი კომბაინერი არ გაზრდიდა პურის აღების ნორმებს. გადახედეს თავიანთ შესაძლებლობას და გადასწყვიტეს დღეში თორმეტი ჰექტარის ნაცვლად თხუთმეტი ჰექტარზე აეღოთ პური.

გზის პირას პური არსად არ არის ჩაწოლილი და იგი ოქროსფერ კედლად დგას. მთელ ველზე ისმის აგრევატთა ყრუ გუგუნე. ჩავვიტროლებენ ხოლმე საგსე ავტომანქანები. ისინი „ზაგოტურნოსაკენ“ მიეშურებიან. მანქანის ძარაზე გაკრულ წითელ ტილოებზე გაივლებენ წარწერები: „პურისათვის ბრძოლა—მშვიდობისათვის ბრძოლა!“ „საქართველოს პური — საბჭოთა სამშობლოს!“

გამოჩნდა სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის ყანები. აი კალოები, ერთი, ორი, სამი. ისმის სიმღერა. მღერის ქალი და კაცი. ქართველი გლეხი ყოველთვის მღეროდა ყანაში მუშაობის დროს. მღეროდა შრომის შესამსუბუქებლად, ჯავრის გასაქარებლად, იგი სხვის მიწაზე მუშაობდა, სხვისთვის მუშაობდა. ახლა სიხარული ამღერებს კოლმეურნეს. სიმღერა არ სჭირდება შრომის შესამსუბუქებლად, მანქანამ შეამსუბუქა მისი შრომა. დღეს საკოლმეურნეო მინდვრებზე პურის 97 პროცენტს მანქანა იღებს, ღვევს და ანიავებს.

ის იყო, მესამე ბრიგადის კალსაკენ გადავუხვიეთ, რომ თავმჯდომარემ უცებ შეაყენა „პოხედა“ და სწრაფად გადმოვიდა მანქანიდან. ორმოცდაათი მეტრის მანძილზე წინ „სტალინეც—6“ მისცურავდა ყანაში. უკან „კომუნარი“ მიყვებოდა კომბაინს. „სტალინეც—6“—დან გამოსული საშუალო სიმაღლის ჩასკენილი და მკვირცხლი მამაკაცი ჩქარი ნაბიჯით მიეშურებოდა „კომუნარისაკენ“. უკანიდან შემოუარა მანქანას, მოიხადა ქული და კომბაინიდან ნაკადად მომდინარე ნამჯას შეუშვირა.

— როგორც სჩანს, მარცვლი მიჰყვება ნამჯას, — თქვა ნიკო ყოჩიაშვილმა და „კომუნარისაკენ“ გაემართა. გაყვები მეც. ვხედავ, თუ როგორ შეუბერა სული უცნობმა ქულზე დაცვენილ ნამჯას.

— ილო თარაშვილია, — მეუბნება თავმჯდომარე. თავმჯდომარე არ მისალმებია მას, მიწაზე დაიხარა და რამდენჯერმე დაჰკრა თავისი გრძელი და ღონიერი ხელი „კომუნარის“ მიერ მოტოვებულ ნამჯის კვალს, მერე გადახედა ნამჯა, დაჰპერა სული მიწას. რამდენიმე კრიალა, საგსე, წითელი მარცვლი გაბრწყინდა შვე მიწაზე. წამოდგა თავმჯდომარე და ახლა კომბაინერის ქულს დახედა. ისეთივე მარცვლები ბრწყინავდა მზისა და ქარისაგან გამოსუნებულ თარაშვილის ქულზე.

— ოცდაათი სანტიმეტრით დევაგრძელეთ ტრანსპარატორი და დამცურებელი დაფა, მაგრამ პური ისეთი სქელია მაინც ვერ ასწრებს მარცვლის გამობერტყვას, — ეუბნება თარაშვილი თავმჯდომარეს, — ძალიან მცირე, მაგრამ მარცვლი მაინც მიჰყვება ნამჯას.

— მამ მარცვლი მაინც მიჰყვება, ჰა?—ფარული აღელებით ეკითხება თავმჯდომარე ილოს. იგი თავისი ფეჭრითაა მოცული. ჩამოართვა ქული და ხელისგულზე დაიყარა ხორბლის სამიოდე მარცვლი. — მცირე კი არა, ისე უნდა ავიღოთ, რომ მწყერმაც ვერ იპოვოს ვერც ერთი მარცვლი, — ეუბნება თავმჯდომარე კომბაინერს და მისი სიტყვები ისე ისმის, როგორც ბრძანება.

— ავიღებთ, ჯავრი ნუ გაქვს, ნიკო, — ამშვიდებს ილო. — კიდევ მოვიფიქრებთ რამეს. მანამ კი ხედერის მოდების განს დავემოკლებ. — ილო „კომუნარს“ გამოუღა. — შეაჩერე! — დაუძახა ახალგაზრდა, პირტიტველ ტრაქტორისტს.

— რომელ კომბაინზე მუშაობს ილო თარაშვილი? — ეკითხები თავმჯდომარეს.

— „სტალინეც—6“—ზე, მაგრამ მისთვის თავისი და სხვისი არ არსებობს. იგი იმათაც ეხმარება, ვინც თვითმავალზე მუშაობს. ჩვენი კომბაინერები ჯერ კარგად ვერ დაუფლნენ ამ ახალ მანქანას და ილო დიდ სამსახურს უწყევს მათ. იგი სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირია და მრავალი მექანიზატორის უმსრავლესი ჩვენი, როგორც ეს შემხატებდა და მეტალურგებშია შემოღებული, კომბაინერის და ტრაქტორისტის პროფესია მამიდან შვილზე გადადის. ბევრია მექანიზატორთა ოჯახებში. აი, შირაქის მტს-ში სამი ძმა მელიქიშვილები—ივანე, ნიკოლოზი და ალექსანდრე მუშაობს, სამივე კომბაინერია.

სანამ თავმჯდომარე მელაპარაკებოდა, ილო თარაშვილმა ხედერის მოდების განი დაამოკლა და თავისი კომბაინისაკენ გავეციდა. აველით კომბაინის ბაქანზე. შტურვალზე 65 წლის მოხუცი იღვა. საშუალო სიმაღლის, ხმელი ტანის, იგი სუფთად გაპარსული იყო. ქუდის წინაფრა უჩრდილავდა ველის ქარისა და მზის საგან შეჯკულ სახეს. დაკვირვებით დასცქეროდა ხედერს.

ტრაქტორზე დაყენებული ჩაწოლილი თავთავის წამოსაყენებელი თითებიანი ფრთები სწრაფად აყენებს ჩაწოლილ და ერთმანეთში გადახლართულ მძიმე თავთავებს და ტარაბუსს აწოდებს, ტარაბუა ხედერის დანებს აკრავს. დანები ხარბად იტაცებენ მათ და მწყობრად ჭიჭინებენ. მოჭრილი თავთავი ტრანსპარატორების ტროლის სალუქ კამერაში მიაქვს და აი ხორბლის სქელი, მოწითალო ნაკადი ბუნქერში ჩადის.

— ოცი წელიწადია კომბაინერად ვმუშაობ და ასეთი მოსავალი არ მინახავს შირაქში, — ამბობს იგი. — ახლა ამ ნაკვეთზე ოცდაათ ცენტრის ვიღებთ. იყო ნაკვეთები, სადაც მეტი ავიღებ, — გაჩემდა და შემდეგ დასძინა: — ტყუილად როდი შეარქვეს წლებანდელ მოსავალს — სტალინური მოსავალი: ეს მოსავალი აღამაინს და მანქანის მიერ მოწეული მოსავალია. ჩვენს ადამიანს და მანქანას კი ყველაფერი შეუძლია.

მოსუცს დადღლილი სახე ჰქონდა. ილიამ შტურვალი ჩამოართვა.

— მამაჩემია, ვლადიმერ თარაშვილი, — გამაცნო. — 1927 წელს მან მოიყვანა ჩვენი სოფელი პირველი „ფროზონი“, მას აქვთ მანქანიდან არ გადმოსულა, სანამ თვალმა და მელამ არ უმტყუნა. ახლა დარაჯად მუშაობს. მაგრამ მუშახელი ვერ აუღის ამოდენა მოსავალს და გული არ უთმენს, გვეხმარება.

გული არა მარტო მოხუცს არ უთმენს, კომბაინის 13-14 წლის შველივით ასხლეთილი ტანის ორი ბიჭუნა მიყვება. თვითუღს მხარზე გრძელი ჯოხი აქვს გადებული, ჯოხის თავზე სველი ტომარაა შემოხვეული. ბიჭუნებს ქულები უკან გადაუწვავთ, არ ერიდებიან მზეს, ნამჯის მტვერს, ნიაგი რომ სახეში აყრიან. ისინი მენახებები არიან.

— რას აკეთებთ? — ეკითხები ქერა, ჭორფლიან ბიჭუნას.

— კომბაინს მიყვებით. ერთხელაც არ გაჩენილა ცეცხლი, — მეუბნება ჭორფლიანი ყმაწვილი. მის ხმაში თითქოს სინანული ისმის, რომ არ იყო ხანძარი და თავი ვერ გამოიჩინა. — ძია ილომ ტრაქტორსა და კომბაინის ისეთი ნაპერწკალმჭერები გაუკეთა, პურში კი არა, თოფისწამალზე რომ გაიარონ მანქანებმა, ცეცხლი არ გაჩნდება.

მანქანა დადმარტვ ჩარბის. ზვიდან დაცქერით ველს. „კოოპერატორკა“ უთესიათ წითელწყაროელებს ამ მინდვრებზე. ეს ხორბალი ცვენაღია და ამიტომ აქ დაიწყეს პირველად პურის აღება. ზოგ სატრაქტორო ბრიგადას უკვე მოუთავებია მკა და შირაქისაკენ მიდიან კომბაინები. მიაქვთ ზალახის სათიბი მანქანები. მიდიან ჩამომვლელ მექანიკოსთა სარემონტო სახელოსნო მანქანები.

საქართველოს კოლმეურნეები ახალ ძალას იკრებენ, მაღლებდა მათი ცოდნა, მისწრაფებანი, ეს ნათლად გვიჩვენა წლებანდელმა მოსავალმა.

მინდვრებში, მტს-ებში, ლაბორატორიებში, სოფლის მეურნეობის განყოფილებებში, ფერმებში მრავალი უცნობი სახე ვხატე. მოსულან სოფლის მეურნეობის ახალი სპეციალისტები. ვხატე საწარმოო პრაქტიკაზე ჩამოსული თბილისის ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები: მიწის მომწყობები, ზოოტექნიკოსები, მექანიზატორები, მევენახეები, მემინდვრეები, მეპარეუმები. ბევრი მათგანი რაიონის მიერ არის გაზავნილი სასწავლებლად და ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კვლავ თავის კოლმეურნეობას დაუბრუნდებიან.

საქართველოს კოლმეურნეებს მტკიცე პირობა აქვთ დადებული, რომ ისინი ვადაზე ადრე შესარულებენ ბელადის მითითებას—უზრუნველყმონ საქართველო საკუთარი წარმოების პური.

ამას გვიჩვენებს საქართველოს წლებანდელი ზაფხული.

ღამის ათ საათზე უკან გზრუნდებოდით. ამ დროს ჩვეულებრივად კომბაინები არ მუშაობენ. პური უკვე დანამულია. მაგრამ ილო თარაშვილის კომბაინი მუშაობდა, მუშაობდა მიხეილ ოსაჩი, ტრაქტორის ფარების შუქზე თეთრად ქაბათებდა პურის ზღვა.

მანქანა შევაჩერეთ. ჩვენთან მოვიდა იოსებ მენთეშაშვილი, წითელწყაროს მტს-ის დირექტორის მოადგილე პოლიტნაწილი.

— სტალინის დროს მექანიზატორებს „პრავდას“ ვუკითხავდით, — გვეუბნება მენთეშაშვილი. — გაიგეს რა, რომ სტავროპოლელმა კომბაინერმა, სოციალისტურმა შრომის გმირმა მიხეილ ყუკოვმა ვალდებულება აიღო ოცი საათი იმუშაოს დღეში და 14-16 დღის განმავლობაში 700 ჰექტარზე აიღოს პური, გადაწყვიტეს ებრძოლონ ცვარს. ხედავთ, ძნელად, მაგრამ მაინც მკიან... დიდია მაგალითის ძალა. თქვა მენთეშაშვილმა და ველს გახედა: შორს შირაქზე კიდევ რიალებდა ფარების შუქი. ისმოდა აგრევატთა გუგუნე.

მკა დამითაც გრძელდებოდა.

წითელწყაროს რაიონი. პურის მოსავლის აღება სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. ფოტო ვლ. ვინზებერგისა.



წითელწყაროს რაიონი. მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის კალოზე.
ფოტო ვლ. გინზბურგისა.

პირველი მოსავალი

ლანჩხუთის რაიონის რამდენიმე კოლმეურნეობაში წელს ხორბლის პირველი მოსავალი აიღეს. ამიტომ განსაკუთრებული სიხარული იგრძნობოდა აქ მკის დროს.

სიმინდს, ჩაის, ციტრუსს, ტუნგოს და მრავალ სხვა სუბტროპიკულ კულტურას შეხედებით ამ რაიონის კოლმეურნეობათა თვალუწვდენელ ფართობებზე, — ბურის ყანებს კი აქ დღემდე ვერ იხილავდით.

ახლა ბურის დამამშრებელი თავთავები წელს ირჩევინ. ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებშიც დღევანდს ბურის ყანა.

ხორბლის რამდენიმე ჯიში სცადეს აქ.

ალაგ კახური დატოტილი ხარობს, ალაგ გრძელთავთავა. ბელგები ოქროსფერი ხორბლით ივსება. ეს უჩვეულო მოსავალია ამ რაიონისათვის, უჩვეულოა ბურის ყანაში მუშაობაც აქაური კოლმეურნისათვის. ხელით იღებენ ყანებს. მცირე ფართობზე კომბაინის გამოყენება არ არის ხელსაყრელი, ხელით იღებენ და თითქოს უძნელდებათ — კონებს უხერხულად ჰკრავენ, უღოსხაც თავისებურად გრჩენენ; ეტყობათ, რომ არ არიან ამ საქმეში გააფუძლი. მაგრამ კოლმეურნეები ნათლად ხედავენ, თუ რა დიდი პერსპექტივა აქვს მათ რაიონში ხორბლის კულტურას.

სოფელ ქვიანის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ გამგეობის თავმჯდომარე შოთა ნარსია თავს დასდგომია ბელგში შეზიდულ ხორბალს. ყვეთლად ბზინავს ხორბლის ხვავს.

— არ გვჯეროდა, რომ ასე გაიხარებდა ჩვენში ხორბალი. ექვსი თვლით უყურებდნენ კოლმეურნეობის. რა ექნათ. ადგნად ჩვენშიაც ყოფილა ბურის ყანები, მაგრამ რატომღაც სიმინდს გაუდევნია ბური ჩვენი მიწებიდან. ახლა სიმინდის დამუშავებას ვართ შეჩვეული. გვიჭირს ბურის მომკა, მისი გაღწევა. ხულ ათიოდე ჰექტარი გვქონდა დათესილი, მაგრამ მაინც კარგა ხანს მოვუნდით მის აღებას და გაღწევას.

ამას ლაპარაკობს ამხანაგი ნარსია გულახდილად, თანაც ეღიმიება.

— არ გვჯეროდა, მაგრამ ახლა ყველა ხედავს, რომ ბურის მოსავალი ჩვენშიაც დიდი სცოდნია.

ასევე მსჯელობს ღრმადელის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ვლადიმერ ჯაში. იგი ამჟამად მიგვიძღვის. ნათესი თუ ნარგავი, ჩაი თუ ციტრუსი — ყველაფერი მოვლილია; აქ ორგანიზებული კოლექტივის მუშაობა ჩანს. ორნახევარი მილიონის პატრონია ეს კოლმეურნეობა. დღითი დღე იზრდება მისი შემოსავალი; იზრდება თვითთული კოლმეურნის შემოსავალიც.

— ხორბალიც დიდ მოსავალს მისცემს ჩვენს კოლმეურნეობას, — ამბობს თავმჯდომარე, — 17 ჰექტარი გვეთება წელს და უმეტეს შემთხვევაში ჰექტარზე 20 ცენტნერი ავიღეთ. მოსავალი წლიდან ვეცდებით სიმინდისათვის განკუთვნილი ადგილების ნახევარი ბურს გადავულოცოთ. ნაკლები შრომა სჭირდება, შესანიშნავ მოსავალს იძლევა. ხალხის ძალას კი სხვა საქმეს მოვახმართ. განა ცოტაა სამუშაო კოლმეურნეობაში?

მართლაც კარგად ხარობს ხორბალი ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებში. დიდი სიყვარულით ეკიდებიან ხორბლის კულტურის დანერგვის საქმეს. 1957 წელს საკუთარი ბური უნდა ჰქონდეს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას; არ უნდა დასჭირდეს მას ბურის შემოზიდვა სხვა რესპუბლიკებიდან.

ეს საპატიო დავალებაა. კარგად ესმით ამ დავალების სიდიადე ქართველ კოლმეურნეებს და ამიტომ არის, რომ ასე იზრდება ბურის ყანების ფართობები. ამიტომ არის რომ ახალ მშობლიურ ადგილებს პოულობს ქართული ჯიშის ხორბალი.

სომანდური

სომანდური ძველთაგან გაგრძელებული ქართული ჯიშის ვაშლია. მართალია, იგი გარეგნობითა და სურნელოვანებით ვერც ლოყებდაბრაწულ კეხურას გაუტოლდება, ვერც ჩაქარვებულ კალვილს, ვერც აზილაურსა და ლავოდების რენეტს, რომლითაც საქართველოს ბარი თავს იწონებს, მაგრამ სომანდურმა მაინც დაიმსახურა გორის მეხილე-მეზოსტენობის სასელექციო-საცდელი სადგურის ყურადღება.

ამ სადგურის სამეცნიერო ნაწილის გამგე ელენე ერისთავი კარგა ხანია ცდილობს ისეთი ჯიშის ვაშლის გამოყენებას, რომელიც მაღალმთიან ადგილებში იხარებს.

სომანდური კი სწორედ ივლისის შუა რიცხვებში მწიფს, ნაყოფი ტკბილი და საკმაოდ უხვი იცის. მთა ადგილებში, მოკლე ზაფხულის პერიოდში, სომანდური მოასწრებს შემოსვლას.

მრავალნაირი ხე-სომანდურის შესწავლისა და დაკვირვების დროს, ელენე ერისთავმა კახეთის ერთ-ერთ სოფელში მიაკვლია გადაშენებული სომანდურის ბუჩქურ სახეობას.

სწორედ ასეთი ჯიშის სომანდური აინტერესებდათ: პატარა ანუ ნაკოლა სომანდურს მთის მაღალი თოვლი ერთიანად დაფარავს და დიდი ყინვები ვერას დააკლებს. ბუჩქი-სომანდური

რი გორის სასელექციო სადგურში გადმოიტანეს.

ყინვიან ადგილებში სომანდურის გაგრძელების შესაძლებლობამ დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენი დიდი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში.

თუ რა ინტერესს იწვევს ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ გრძელზამთრიან კუთხეებში სომანდურის გაგრძელება, მოწმობენ ის წერილები, რომლებსაც ელენე ერისთავი იღებს. იწერებიან მოსკოვის ოლქის [მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობიდან, ჩუვაშეთიდან, სვერდლოვსკიდან, კუბიშვევიდან, ლენინგრადიდან და სხვა მრავალი კუთხეებიდან.

„Я любитель садовод и хотел бы путем посадки семян оклиматизировать у себя на севере карликовые яблони“

სწერს გორკის ოლქიდან ნიკოლოზ ვასილის-ძე ზელიანოვი.

ელენე ერისთავი მეზაღვების მოყვარულეთან აწარმოებს მიწერ-მოწერას და აწვდის ბუჩქური სომანდურის თესლს.

„მეც მოუთმენლად ველი შორეულ ჩრდილოეთიდან სომანდურის ნაყოფს. შეიძლება ტკბილმა სომანდურმა იმ პირობებში ცოტა სიმკვარე შეიძინოს“, — განაცხადა კერძო საუბარში მეცნიერმა ქალმა.

ძ. მლისაგმაშვილი

ფოტოზე: სასელექციო-საცდელი სადგურის ბაღში.
7-8 წლის სომანდურის ბუჩქი, რომელსაც ზრდა დასრულებული აქვს.





ოთხი წლის წინათ, 1948 წლის 31 აგვისტოს, ჩვენმა პარტიამ და ხალხმა დიდი დანაკლისი განიცადეს — დაკარგეს თავისი ერთგული შვილი, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი გამოჩენილი მშენებელი, კომუნისტებისათვის თავდადებული მებრძოლი, დიდი სტალინის ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი — ამხანაგი ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟღანოვი.

საბჭოთა ხალხი მოწიწებით ინახავს ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟღანოვის ნათელ ხსოვნას. ამხანაგმა ჟღანოვმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მშრომელთა საქმისათვის, ლენინ — სტალინის დიადი იდეებისათვის ბრძოლას მოახმარა, მან მილიონობით მშრომელთა მხურვალე სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ანდრია ალექსანდრეს-ძე 16 წლისა იყო, რევოლუციური მოძრაობაში რომ ჩაება. იგი აქტიური მონაწილეობას ღებულობდა ქალაქ ტვერის (ახლა ქ. კალინინი) მოსწავლე ახალგაზრდობის სოციალ-დემოკრატიულ წრეებში. 1915 წელს 19 წლის ჭაბუკი შევიდა ბოლშევიკური პარტიის რიგებში. მისი ცხოვრების გზა ხალხისადმი, ლენინ — სტალინის დიადი საქმისადმი თავდადებული სამსახურის შთამაგონებელი მაგალითია. რევოლუციური ბოლშევიკური არალეგალური მუშაობა, ოქტომბრის რევოლუციის მომზადებაში აქტიური მონაწილეობა, სამოქალაქო ომის წლებში წითელი არმიის პოლიტიკური განათლების საქმეში აქტიური მონაწილეობა, ხელმძღვანელი საბჭოთა და პარტიული მუშაობა ურალში, ტვერში, გორკის მხარეში — ასეთია ამხანაგი ჟღანოვის სახელოვანი ცხოვრების გზის, მისი, როგორც კომუნისტური პარტიის გამოჩენილი მოღვაწის, ჩამოყალიბების პირველი ეტაპი.

1934 წელს საკავშირო კ. პ. (ბ) XVII ყრილობაზე ჟღანოვი აირჩიეს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად და მას შემდეგ იგი უცვლელად შედიოდა პოლიტიბიუროს შემადგენლობაში.

1934 წლის დეკემბერში, სერგეი მირონის-ძე კიროვის ვერაგულად მოკლის შემდეგ, პარტიამ ამხანაგი ჟღანოვი გააგზავნა ლენინგრადში. იგი ლენინგრადის პარტიულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა 1934-1944 წლების პერიოდში. ლენინგრადის ბოლშევიკებმა მისი ხელმძღვანელობით გაანადგურეს და მოსპეს ხალხის დაუძინებელი და საზიზღარი მტრები — ტროცკისტების, ბუხარინელებისა და სხვა გამცემლების ხროვა. ამხანაგ ა. ა. ჟღანოვის ხელმძღვანელობით ლენინგრადის მშრომელებმა უდიდესი წარმატებით მოიპოვეს ომის წინა, მეორე და მესამე ხუთწლიანი გეგმების შესრულებაში.

დიდი სამამულო ომის წლებში ამხანაგი ჟღანოვი აღაფრთოვანებდა ლენინგრადის ფრონტის მეომრებს და გმირი ქალაქის მშრომელებს, უნერგავდა მხნეობასა და გამარჯვების დაუშრეტელ რწმენას. ამხანაგ ჟღანოვის ხელმძღვანელობით განხორციელდა ლენინგრადთან გერმანელთა განადგურების სტალინური გეგმა.



უკანასკნელ წლებში ამხანაგი ა. ა. ჟღანოვი დაძაბულ და მრავალმხრივ მუშაობას ეწეოდა, როგორც საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ომის შემდგომი მშენებლობის პერიოდში ბოლშევიკური პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში თვალსაჩინო ადგილი დაიკავა იდეოლოგიური მუშაობის საკითხებში. ამხანაგ ჟღანოვის სახელთან უშუალოდ არის დაკავშირებული იდეოლოგიური მუშაობის მთელი რიგი პრობლემების ბრწყინვალედ გაშუქება და გადაჭრა. „უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით ფართოდ განვითარდა მისი ნიჭი, როგორც მარქს-ლენინის გამოჩენილი თეორეტიკოსისა. ამხანაგ ჟღანოვის ბრწყინვალე მოხსენებებს ლიტერატურის, ხელოვნებისა და ფილოსოფიის საკითხებზე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარებაში, და ისინი დიდად უწყობენ ხელს ამ დარგებში ნაკლოვანებათა დაძლევა, სახავენ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური კულტურის განვითარების ახალ გზებს“ (ვ. მ. მოლოტოვი).

ამხანაგ ჟღანოვის მოხსენება ჟურნალების „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ უდიდესი მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში, მან დიდი როლი შეასრულა საბჭოთა ლიტერატურის იდეურ-მხატვრული დონის აღმაშენების საქმეში. ა. ა. ჟღანოვმა თავის მოხსენებაში ამომწურავად, ზუსტად და მკაფიოდ განსაზღვრა საბჭოთა მწერლების საბრძოლო ამოცანები კომუნისტური მშენებლობის დიად სტალინურ ეპოქაში.

ამხანაგი ჟღანოვი დაუნდობლად იბრძოდა ბურჟუაზიული კოსმოპოლიტიზმისა და დასავლეთის განხრწნილი კულტურის წინაშე ქედის მოხრის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. „განა შეჰფერის ჩვენს საბჭოთა ლიტერატურას, რომელიც მსოფლიოში ყველაზე რევოლუციური ლიტერატურაა, ქედის მოხრა დასავლეთის შე-

ზღუდულ მეშინურ-ბურჟუაზიული ლიტერატურის წინაშე? — ამბობდა ამხანაგი ჟღანოვი.

შესანიშნავი ბოლშევიკი ამხანაგი ჟღანოვი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მოღვაწეთა პირველ რიგებში იყო. მან ბევრი რამ გააკეთა მშვიდობისათვის მებრძოლი მთელი დემოკრატიული ძალების მჭიდროდ დასარაზმავად ახალი ომის გამაჩაღებლთა წინააღმდეგ.

ამხანაგი ჟღანოვი იყო ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, იგი თავდადებით იბრძოდა საბჭოთა ხალხის ნათელი და საამური ცხოვრებისათვის, კომუნისტური დიადი შენობის აგებისათვის.

დიდი სტალინის ერთგული მოწაფისა და თანამებრძოლის, ბოლშევიკური პარტიის ერთგული შვილის ამხანაგ ჟღანოვის ხსოვნა ცოცხლობს და მუდამ იცოცხლებს ყველა მშრომელის გულში.

ნორჩი ტექნიკოსები

მესამე წელია თბილისში ეწყობა რესპუბლიკური კონკურსი — „ნორჩი ტექნიკოსთა დახმარება სკოლებს“.

რესპუბლიკის ყოველი კუთხიდან ჩამოაქვთ ნორჩი ტექნიკოსების ნამუშევრები. გამოფენაზე მონაწილეობას ღებულობენ, როგორც ტექნიკური ხადგურები, ისე ცალკეული სკოლები. ყოველწლიურად უფრო და უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო ხდება ეს კონკურსი. უფრო და უფრო იზრდება ნორჩი თაობის ინტერესი ტექნიკისადმი.


წლივანდელი გამოფენა, რომელიც მოეწყო თბილისის ვაჟთა მე-12 საშუალო სკოლაში, წინა წლებზე გაცილებით უფრო მდიდარია თავისი

გაზრებით, გამომგონებლობით, ექსპონატთა მრავალფეროვანებით, ნამუშევართა ხარისხით. ამ გამოფენაზე თქვენ ნახავთ ექსპონატებს ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და სხვა მეცნიერებათა დარგებიდან. თვალნათლივ ხედავთ, თუ როგორ ოცნებობენ ბავშვები შექმნას რადიო საშუალებით მმართველი ხომალდები, ახალი ტიპის თვითმფრინავები; ოცნებობენ პლანეტებზე გადაფრენას. ფიქრობენ პრაქტიკულად დაეხმარონ სამშობლოს და ახლავე ადგენენ პროექტებს, აკეთებენ მოდელებს „მთიან ადგილებში წყლის ენერჯის გამოყენებაზე“.

ეს გამოფენა იმის ცოცხალი სურათია, თუ როგორ არიან ჩვენი ბავშვები დაინტერესებულნი ჩვენი ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრებით. როგორი ინტერესით ადევნებენ თვალყურს სოციალისტური მშენებლობას, აკეთებენ მშენებლობათა მოდელებს, აკეთებენ „თბილისის ზღვისათვის“ წყლის ავტომობილებს, რომლებსაც აწერია „მშვიდობა“.

მშვიდობიანი ცხოვრებით ცხოვრობს ჩვენი საბჭოთა ქვეყანა. ყოველგვარი პირობა იქმნება იმისათვის რომ საბჭოთა ბავშვებს ფართო და მრავალფეროვანი ასპარეზი ჰქონდეთ შემოქმედებითი ზრდისათვის, რათა ისინი კომუნისტური სრულყოფილ მოქალაქეებად აღიზარდონ.

ნორჩ ტექნიკოსთა ექსპონატების გამოფენა ამის ერთ-ერთ დადასტურებას წარმოადგენს.



„წყლის ენერჯის გამოყენება მთიან რაიონებში.“ — მოქმედი მაკეტი გაკეთებულია ფოთის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეების მიერ. ფოტო თ. თურქიაისი.

ზაფხული



თბილისში

წყალტუბოსკენ. თბილისელები გადაიან თბილისიდან, ისინი გაურბიან დიდი ქალაქის ზაფხულს.

მაგრამ თბილისი მაინც ხალხითაა სავსე. ეს ხომ ასეც უნდა იყოს, თბილისელები უნდა იყოს. თბილისელები დიდი ქალაქის ცხოვრების მანქანის ცემა: ბაღები და პარკები სავსეა თბილისელებით, დატვირთულად მუშაობს ტრანსპორტი, ფაბრიკა-ქარხნების დაზვებთან მუშაობაა გაჩაღებული, აქ მართლაც რომ ცხელი დღეები დგას: თბილისის მშრომელები იბრძვიან ახალი წარმატებებისათვის, იბრძვიან მაღალხარისხოვანი პროდუქციისათვის. ცხელ ზაფხულთან დაკავშირებით მათთვის ყოველგვარი პირობაა შექმნილი შრომის შესამუშებლად: მოწყობილია წყლისა და ჰაერის აბაზანები, მუშაობენ მძლავრი ვენტილიატორები, ქარხანათა ე. წ. ცხელ სამქროებში, რომლებშიც ზამთრობითაც უჩვეულო სიცხე იცის, ეწყობა წყლის სპეციალური მფრქვევანები ჰაერის ხელოვნურად გაცივებისათვის. ამ მფრქვევანთა ამუშავების შემდეგ ადგილობრივი ჰავა სამქროში მიუახლოვდება წვიმიანი ამინდის ტემპერატურას.

მთელი დატვირთვით მუშაობს თბილისის მაცივარი კომბინატი. იგი დღის განმავლობაში 100 ტონა ხელოვნურ ყინულს ამზადებს. აქვეა სხვადასხვა პროდუქტთა შეხანახი საკუქნაობები. ზაფხულის სიცხისაგან დაცულია ხორცი, თევზეულობა, ერბო და სხვა საკუქნაოში ტემპერატურა მინუს 10-11°-ს აღწევს. ასე, რომ, თუ ექ შესვლას მოინდომებთ თბილი ქურჭი უნდა გადაიცვათ და ყურებიანი ქუდი დახუროთ: ასეთი სიცხე თბილისში ზამთრობითაც იშვიათად არის ხოლმე.

კომბინატთან არსებული ნაყინის სამქრო დღეღამეში 7-8 ტონა მაღალხარისხოვან ნაყინს აწვდის თბილისის მოსახლეობას. ეს ნაყინი მიღის პარკებისა და ბაღების კიოხკებში, ფენიკულორის პლატოზე, ლისის ტბაზე მოხანავე დამსვენებელთათვის. ეს ნაყინი „თბილისის ზღვის“ სანაპიროებამდეც კი აღწევს. „თბილისის ზღვა“ ერთ-ერთი მიმზიდველი დასასვენებელი ადგილი გახდა ქალაქელებისთვის.

თბილისში — საბჭოთა კავშირის ამ ერთ-ერთ ცხელ ქალაქში ზაფხულის დღეებში ყოველგვარი პირობაა შექმნილი შრომისა და დასვენებისათვის.

↓ ლისის ტბაზე

ა. მარიაშვილი

ფოტო ო. თურქიასი

დადგება თუ არა ზაფხულის ცხელი დღეები აგარაკებისკენ მიეშურება თბილისის მოსახლეობა. დაშქრიან ავტობუსები სავტო-შობილო შარა-გზებზე კოვჩრისა, კიკეთისა და მანგლისისკენ, წყნეთისკენ, საქართველოს სამხედრო გზაზე. სიცხისაგან შერბილებულ ასფალტს მკვეთრად ემჩნევა მანქანათა გახშირებული კვალი. საკურორტო ხეზონთან დაკავშირებით თბილისის რკინიგზის სადგურიდან ინიშნება ახალი, დამატებითი მატარებლები: ბორჯომისკენ, კისლოვოდსკისკენ, შავი ზღვის აგარაკებისკენ,






თბილისის მაცივარ-კომბინატის ნაყინის საამქროში ყოველ დღე 8 ტონა მა-
ლახარისხოვან ნაყინს ამზადებენ.



ეკონომიკური
ნივლითობა

აკადემიკოსი ალექსანდრე თვალჭრელიძე ყო-
ველ დილა-საღამოს რწყავს საკუთარ ბაღას;
ზაფხულის ცხელ დღეებში მცენარეებს მეტი
წყალი სჭირდებათ.




კომპოზიტორი გრიგოლ კილაძე
ჩოგბურთის მოედანზე.

ქალაქის ბიბლიოთეკებში
კარგი პირობებია შექმნილი
მეცადინეობისათვის. იქ სი-
ჩუმეც არის და გრილა კიდეც,
მაგრამ უფრო მეტი სიგრილეა
ქალაქის პარკებსა და ბაღებ-
ში.

პედაგოგიური ინსტიტუ-
ტის დაუსწრებელი განყოფი-
ლების სტუდენტები ემზა-
დებიან სახელმწიფო გამოც-
დებისათვის. ეს სურათი გა-
დაღებულია კიროვის სახე-
ლობის პარკში.



„თბილისის ზღვის“
პირველი „მეზღვაური“.



მიტინგის მონაწილეები ლესია უკრაინკას ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ გამოფენას.

ფოტო ვ. გინზბურგისა

ზაიმი სურამში

დაბა სურამი გაცხოველებით ემზადებოდა საზეიმოდ. საქართველოს მშრომელთა არაფერი დაიშურეს, რათა ღირსეულად აღენიშნათ გამოჩენილი უკრაინელი პოეტის ლესია უკრაინკას ძეგლის, ბიბლიოთეკისა და გამოფენის გახსნის დღე... კვირას, 3 აგვისტოს სურამს დილიდანვე არაჩვეულებრივი გამოცოცხლება დაეტყო. მზის პირველ სხივებს თითქოს თან ამოჰყვა საყოველთაო სიხარული. ფრინველთა ჭიკჭიკ-გალობას ჰარმონიულად ერთვოდა ადრიალად შინიდან გამოსული ბედნიერი ბავშვების მხიარული ხმები. მათ თავი მოეყარათ ზინდისში, პატარა მოედანზე, სადაც აღმართული იყო ლესია უკრაინკას საბურველჩამოფარებული ძეგლი... უფროსებიც ჩქარობდნენ, ცდილობდნენ დილითვე მოეთავებინათ საშინაო საქმეები და ზეიმში მონაწილეობა მიეღოთ. ქუჩებსა და სახლებში გაცხოველებული ფუსფუსი იყო, ყველას სახეზე ნათელი გადაჰქრავდა. გული სიხარულითა და სიამაყის გრძნობით ლტუნებდა. ისინი სტუმრებს მოელოდნენ დედაქალაქიდან, მეზობელ რაიონებიდან და მომე რესპუბლიკებიდან.

დღის სრული ორი საათია. ლესია უკრაინკას ძეგლის წინ — მოედანზე მრავალმა ათასმა კაცმა მოიყარა თავი. ლამაზად მოურთავთ გაგანგებოდ მოწყობილი ტრიბუნა და ბიბლიოთეკის შენობა. ტრიბუნის თავზე ფრიალებენ წითელი დროშები, ყველაფერი ირგვლივ მწვანესა და ცოცხალ ყვავილებშია ჩასმული. ტრიბუნაზე აღიან პარტიის, მთავრობის წარმომადგენლები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, მომე რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები. მიტინგის გახსნის წინ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივმა ლესია უკრაინკას ძეგლი შეამკო დაფნის გვირგვინით.

მიტინგის მონაწილენი თვალს აპყრობენ ლესია უკრაინკას ძეგლს... ტაშის დაუსრულებელ გრილში საბურველი გადისხნება და გამონდება ბრინჯაოსგან ჩამოსხმული ბიუსტი, რომელიც დადგმულია ლამაზ პოსტამენტზე.

მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვენს საქართველოს კ.პ.(ბ) საშურის რაიონის მდივანმა ანს. დ. ჩრდილელმა, საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ანს. ვ. ხატიაშვილმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა მწერალმა ო. მალციევმა, უკრაინელმა მწერალმა ი. ზბანაცკიმ, ს. ჭილაიამ, შ. რადიანმა, აწერბაიჯანელმა მწერალმა მ. იბრაგიმოვმა, სომეხმა მწერალმა მ. ზარიანმა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. დედაბრიშვილმა, დოცენტმა დ. მგელაძემ, ბიონერმა ლ. ჯომარჯიძემ და სხვ. მიტინგის მონაწილეები გულმხურვად შეხვდნენ პოეტ-კადემიოს გ. ლეონიძეს და პოეტ კ. კალაძეს, რომლებმაც წაიკითხეს ლ. უკრაინკასადმი მიძღვნილი ლექსები.

მიტინგმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღო ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინის სახელზე გასაგვანის მისალმების ტექსტი.

მიტინგი დამთავრდა. დაიწყო ლ. უკრაინკას ცხოვრებისა და შემოქმედების გამოფენის დათვალიერება.

მოედანზე კვლავ მხიარულებაა, გუნდები ასრულებენ სიმღერებს, მიტინგის მონაწილენი ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებენ და დიდხანს, დიდხანს არ წყდება ეს საზეიმო გუგუნო.

ლესია უკრაინკას ძეგლი დადგმულია სურამის ერთ-ერთ საუკეთესო უბანში, ზინდისში, ტყიანი სერის ფერდობზე. რუნი გრანიტის მაღალ კვარცხლბეკზე, რომელიც ბრინჯაოს დიდი გვირგვინითაა შემკული, აღმართულია პოეტი-ქალის მეტრ-ნახევრიანი ბიუსტი. იგი ეკუთვნის ჩვენს ნიჭიერ მხატვარ-მოქანდაკეს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს თამარ აბაკელიას.

ეს ქანდაკება კიდევ ერთხელ გვიჩვენებს გამოჩენილი ქართველი სკულპტორის შემოქმედებით აღმავლობას, მისი ორიგინალური ტალანტის გაფორმებასა და აყვავებას. თამარ აბაკელიას ეს ახალი ნამუშევარი ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს მხანველზე.

უკრაინელი პოეტი-ქალის სახე მეტად დამახასიათებელ მომენტში აქვს მოქანდაკეს აღბეჭდილი. ლესია პირდაპირ იცქირება სივრცეში. მას გაბედულად აუწყევია თავი. მის გარშემო თითქოს გრივლი მძინვარებსო, სახეში მას ძლიერი ქარი სცემს, თმები გასწეწია, მისი გრძელი კულულები ქაოტიურად ფრიალებენ ჰაერში. ფართო და მაღალი შუბლი ლესიას ღრმა და ძლიერ ინტელექტზე მეტყველებს. დიდი სქელი ტუჩები მას მოუპოვებელი აქვს. პატარა, ნატიფი ცხვირის ნესტოები ოდნავ დაბერვია, რაც ფიცხსა და მგზნებარე ტემპერამენტს ამჟღავნებს. მოგრძო, მაგარი ნიკაბი მტკიცე ნებისყოფას მოასწავებს. ოდნავ შეხრილი წარბების ქვემოთ გამოიყურებიან მშვიდი თვალები. რა დიდი რწმენა და დამაჯერებლობა გამოსჭვივის ამ წყნარ გამოხედვაში!

ლესიას ზედა ტანსაცმლის კალთები ფართო, სქელ ნაოჭებად დაშვებულნი, თითქოს ქარს განზე გაუტაცონია. პოეტი-ქალის ფიგურა ამით მოძრაობაშია მოცემული: ის თითქოს წინ მიილტვის ნელი, მაგრამ შედგარი და მტკიცე ნაბიჯით.

სკულპტორის სწორად დაუჭერია ლესია უკრაინკას პიროვნებისა და შემოქმედების დამახასიათებელი და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი მხარეები: მისი რევოლუციური მიზანსწრაფვა, შეუპოვარი და მებრძოლი ბუნება, სიმტკიცე და უტყუარ ნებისყოფა. სკულპტორმა შესძლო ქანდაკებაში ლესიას მიმზიდველ სახეზე აღებულ ლმობიერი და სათუთი გრძნობა, ამავე დროს გადმოეცა დამოუკიდებელი, ამაყი და უშიშარი ხასიათი რევოლუციონერი პოეტისა.

საკმარისია გავისწინოთ ლესია უკრაინკას ბიოგრაფიის მთავარი სახეები და მისი შემოქმედების ძირითადი მოტივები, რომ ჩვენთვის ნათელი გახდეს თამარ აბაკელიას რეალისტური ხელოვნების ძალა და სიმართლე, მისი მაღალი ოსტატობა — ქვასა და ბრინჯაოში ადამიანის სულიერი ცხოვრების, მისი შინაგანი სამყაროს გადმოცემისა.

ლესიას ქანდაკება აღმართულია სურამისა და მისი მიდამოების მომხიბლავ ფონზე. ქანდაკების უკან მყურებელი ხედავს კრიალა ცის ლაქვარდში აზიდულ ლიხის კორტოსის რბილ კონტურებს: რიკოთისა და საჯვარე მთების ტყით შემოსილ თხემებს, დასავლეთ საქართველოში გადასასვლელი გზებითა და ბილიკებით დასერილთ.

ლიხის მთის უბებულება და ფერდობებზე მოსჩანან სოფლები — ჩუმათელეთი, იტრია, ზეკოტა, ურთხე, ბიჯნისი. იქ ჩვენი კოლმურნეები ცხოვრობენ, ახალი საბჭოთა ადამიანები, — შვილები და შვილიშვილები იმ გლეხკაცებისა, რომლებიც ლესიამ სურამში ნახა თავისი ცხოვრების უკანასკნელ დღეებში.

დღეს იმ გლეხკაცთა შთამომავალი — თავისუფალი შრომის შვილი — მოწიწებით მიდიან უკრაინელი პოეტი-ქალის ქანდაკებასთან, რომ გამოხატონ თავიანთი პატივისცემა და სიყვარული ადამიანისადმი, რომელმაც თავისი გული და გონება, თავისი დიდი შემოქმედება მთლიანად მიუძღვნა ხალხის განთავისუფლების დიდ საქმეს.

ლესია უკრაინკა ქართულ ენაზე

ქართველი ხალხი მუდამ ყურადღებით ეპყრობოდა დიდი უკრაინელი მწერლის ლესია უკრაინკას შემოქმედებას. ჯერ კიდევ ადრე, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ითარგმნა და ქართულ გაზეთებში დაიბეჭდა მისი რამდენიმე ლექსი. მაგრამ მწერლის შემოქმედების ფართოდ გაცნობა მკითხველი მასისათვის შესაძლებელი გახ-

და მხოლოდ ჩვენს დროში, უკანასკნელი სამი წლის მანძილზე გამოცემლობა „საბჭოთა მწერალი“ ლესია უკრაინკას თხზულებათა ორი დიდი წიგნი გამოსცა. ამჟამად ქართულად მოგვეპოვება მწერლის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ნაწარმოები.

ლესია უკრაინკას თხზულებათა თარგმანები შესრულებულია ქართველი პოეტების —

ი. აბაშიძის, ა. მირცხულავას, ი. მოსაშვილის, ს. შანშიაშვილის, მაყვალა მრევლიშვილის, მარიჯანის, ვ. ვაბესკირიას, ა. გომიაშვილის, შ. აფხაძის, რ. გვეტაძის, გ. ცეცხლაძის, ა. ქუთათელის, დ. გაჩეჩილაძის და ვ. გორგაძის მიერ.

ქართველი პოეტები კვლავაც განაგრძობენ ლესია უკრაინკას ნაწარმოებების წარმატებით თარგმნას.

დავით გურამიშვილის მეორე ახალგაზრდობა

ლემზრო კოსარიკი

160 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც უკრაინაში გარდაიცვალა დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი. თითქმის ორი საუკუნე მიიწურა მას შემდეგ, რაც იგი მონაწილეობას იღებდა რუსეთის არმიის ლაშქრობებში, კარგა ხანია გავიდა ორასი წელი იმ დღიდან, როცა ახალგაზრდა გურამიშვილი ძალით მოსწყვიტეს წყაროს სოფელ ლამის-ყანაში და გაიტაცეს.

ამ დროის განმავლობაში საქართველოში, რუსეთში, უკრაინაში, ჩვენი საერთო სამშობლოს მთელ ტერიტორიაზე უზარმაზარი სოციალური ძვრები მოხდა, რევოლუციებმა გადაიქცხლეს, მუშათა კლასმა სოციალისტური გადატრიალება მოახდინა და საძირკველი ჩაუყარა კომუნისმს.

მაგრამ ჩვენი დიდი ეპოქის ამ დიდმა ამბებმა როდი მიჩქმალეს პოეტისა და მოქალაქის, დავით გურამიშვილის ღვაწლი. რაც კი რამ არის მნიშვნელოვანი, მართალი და დიდი, ჩვენი ხალხის ისტორიაში არ იკარგება. ჩვენმა სტალინურმა თაობამ თითქოს ხელახლა გადაშალა გურამიშვილის ცხოვრების წიგნი. განვიღო საუკუნეთა ბურუსიდან თითქოს წამოვღო ჭაბუკი დავითი და ჩვენი ახალგაზრდობის რიგებში მოაბიჯებს. ერთი ხელით მას გულმკერდზე თავისი ბრძნული წიგნი პოეზიისა — „დავითიანი“ მიუხუტებია, მეორე ხელით კი, რომელიც გადმოაწვდინა მთელ რიგ თაობებს, გვესალმება ჩვენ, კულტურული წარსულის ღირსეულ მემკვიდრეებს.

და ჩვენ შევეცქირით მის მარად ახალგაზრდული იერი თსავე სახეს. აი, იგი ქართლის ლანდშაფტის ამწვანებულ ბორცვებზე მიაბიჯებს; აგერ ქსნის ხეობაში ბურის ყანაში მუშაობს; აგერ მოსკოვშია, და ვახტანგ VI-ის წრეში ცეცხლოვან, პოეტურ სიტყვებს აფრქვევს; შემდეგ ამოღებული ხმლით პრუსიელთა მიწა-წყალზე შეჭრილა და ბრძოლის ველზე ცხენს მიაჭენებს; მერე პოლტავაშია — ში და მდინარე ხოროლის მარცხენა ნაპირზე წისქვილს აშენებს, სარწყავი არხი გაყავს; აგერ მირგოროდში თავის ბაღში ზის, ძველი, თეთრი ქონის გვერდით და ჩამავალი მზის სხივებში ღერწმის კალმით თავის „დავითიანს“ წერს; მერე მტკრიანი საფოსტო გზით მირგოროდიდან კრემენჩუგს ფორანით მიეშურება. გზას აჯანყებულ კახაკთა სოფლებში ავიგვიზებულნი ხანძრებო უნათებენ. აქედან იგი თანამემამულე მირიანის ხელით თავის ხელნაწერ წიგნს მარად საყვარელ, დაუვიწყარ საქართველოში გზავნის.

გურამიშვილი ორმოცდაექვსი წლის განმავლობაში ცხოვრობდა და წერდა უკრაინაში, და ჩვენმა წინაპრებმა 1792 წლის 1 აგვისტოს დიდი ბატონისციხით მიაბარეს უკრაინის მიწას მისი ნეშტი.

გურამიშვილის გარდაცვალების 160 წლისთავისათვის მზადებას უკრაინაში ჩვენ ჯერ კიდევ 1937 წელს შევუდექით, როცა „ვეფხისტყაოსნის“ სახალხო ზეიმმა უდიდესი ინტერესი აღძრა მშრომელთა ფართო მასაში მოძვე ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურის საწყისებისადმი, იმ კულტურისა, რომელშიც ნათელ ვარსკვლავად დავით გურამიშვილის პოეტური გული კაშკაშებს. გურამიშვილის გარსკვლავედი ანათებს და ბრწყინავს მის თანამედროვეთა — ლომონოსოვის, ნოვიკოვის, რადიშჩევის, სკოვოროდის, ვოლტერის თანავარსკვლავედში.

ქართველი პოეტი უკრაინაში ხალხური ზეპირსიტყვაობის ოკეანი იყო გარემოცული, იგი ყოველდღე ისმენდა უკრაინულ სიმღერებს — გმირულს, ეპიკურს, ელეგიურ-სევდიანს, სიცოცხლით სავსე ნახ-ლირიკულს, საღალბოს; იგი ისმენდა უკრაინულ ხალხურ ზღაპრებს, ბრძნულ აფორიზმებს, ანდაზებსა და არაკებს.



სოფ. ზუბოვკა. გურამიშვილის სახელობის სკოლა. სწორედ აქ იდგა სახლი, რომელშიც ცხოვრობდა დავით გურამიშვილი. სურათზე — მწერალთა ჯგუფი აკრავს მემორიალურ დავას.

მირგოროდში გურამიშვილის დროს ცხოვრობდა უკრაინის პორტრეტული ფერწერის განთქმული ოსტატი ვლადიმერ ბოროვიკოვსკი. გურამიშვილის მეზობლად სოფ. ოზუხოვკაში მდ. პსლოზე ცხოვრობდა XVIII საუკუნის პოეტი ვ. ვ. კაპანისტი, რომელსაც თანამედროვე რუსულ ენაზე გადააქონდა „იგორის ლაშქრობის ამბავი“. კაპანისტთან სტუმრად ჩამოდიოდა მისი ნათესავი პოეტი გ. დერჟავინი — მირგოროდის მახლობლად უკრაინელი დრამატურგი ვ. ა. გოგოლი-იანოვსკი (გენიალური ნ. ვ. გოგოლის მამა) თხზავდა და ყმა მსახიობების საშუალებით სცენაზე დგამდა თავის ხალხურ ვოდევილებს.

დ. გურამიშვილი, როგორც პოლტავაში მისი საზოგადო მოღვაწე, ჩადიოდა პოლტავაში, კრემენჩუგში, კიევში. იგი ეცნობოდა XVIII საუკუნის უკრაინული ქალაქების ცხოვრებას. გაეცნო კიევის აკადემიის მოღვაწეობას, სადაც თავის დროზე სწავლობდნენ და მუშაობდნენ ბოვდან ხმელნიკი, ლომონოსოვი, სკოვოროდა და მრავალი სხვა გამოჩენილი მწერალი, საზოგადოებრივი და სახელმწიფო მოღვაწეები. გურამიშვილი კითხულობდა წიგნებს, რომლებიც იბეჭდებოდა კიევის, პოლტავის, კრემენჩუგის სტამბებში. პოლტავასა და კრემენჩუგში წიგნები ქართულადაც კი იბეჭდებოდა. გურამიშვილი თავისი ღვიძლი ძმის ქრისტეფორეს საშუალებით მოსკოვიდან იღებდა იმ დროში გამოცემულ ახალ წიგნებს. მან წაიკითხა კიეველ თეოფანე ბროკოპოვიჩის თხზულება.

დ. გურამიშვილს ურთიერთობა ჰქონდა მირგოროდსა და მის მიდამოებში — სოფლებსა და დაბებში მცხოვრებ ქართველ ოჯახებთან. მირგოროდში ცხოვრობდნენ თავიანთი ოჯახებით: ზაალ ხერხეულიძე, ძმები რატიევი, კაცურა ინასარიძე, ნიკოლოზ ხაჭაპურიძე, პაპუნა ბეჟანიშვილი, აბრამ კობიაშვილი, იაკობ ოდიშერიძე დავით ხარაძე, თვით გურამიშვილის ყმებს შორის რამდენიმე ქართველი იყო.

პოეტის ცოლი იყო ტატიანა ვასილის ასული ავალიშვილისა (მისი სახელი მამის სახელი და გვარი ჩვენ ამას წინათ ვიპოვეთ ერთ დოკუმენტში, რომელიც ეხებოდა ზუბოვკის ყმათა გაყიდვას. ამ ყმების ოფიციალური მებატონე იყო „жениа поручика князя Давида Гурамова, Татьяна Васильева, дочь Авалова“), რომელიც გურამიშვილმა სამხედრო ლაშქრობათა შემდეგ შეირთო. იგი ოცი წლით უმცროსი იყო დავითზე და მისი ჭარბდაცვალების შემდეგ ორ წელსაც აღარ უტოცხლია.

ქართველები ცხოვრობდნენ აგრეთვე ბოგაჩკაში, ბორკაში, ბელოცერკოვკაში, უსტივიცაში, იარესკაში, ბარანოვკაში. მეზობელ ქალაქ ხოროლში გურამიშვილს ყოველთვის შეეძლო გული ეჯერებინა დავით წერეთლის ოჯახში საუბრით. ამ ოჯახში ყოველთვის გაისმოდა ქართული და უკრაინული სიმღერები, იმართებოდა საუბრები ლიტერატურაზე, ხალხურ მეტყველებაზე. ამ ოჯახში გაიზარდა უკრაინულ სიმღერათა პირველი გამომცემელი, ცნობილი ფოლკლორისტი ნიკოლოზ წერეთელი.

მირგოროდში საფოსტო გზა გაყავდა ენერგიულ სამხედრო მოსამსახურეს თავად



ნიკოლოზ ბარათაშვილს. მეზობლად — პოლტავის, ლუბენის, პრილუცკის პოლკებში ცხოვრობდნენ 1742-1745 წ. წ. ჩამოსახლებული ასობით ქართველები, რომლებიც ერთად ქართველთა კოლონიას შეადგენდნენ უკრაინაში. მათთვის კრემენჩუგში, პოლტავასა და მოსკოვში იბეჭდებოდა ქართული წიგნები. ამ ქართველებს შორის იყვნენ გურამიშვილის ლიტერატურული შემოქმედების პირველი შემფასებლები, თავყვანისმცემლები და პოპულარიზატორები.

ახლა ხშირად გვეკითხებიან — დავით გურამიშვილი საქართველოში რატომ არ დაბრუნდა?

ეს მარტივი, და ამავე დროს რთული საკითხია პოეტის ბიოგრაფიაში. ამაზე პასუხის გასაცემად მხედველობაში უნდა მივიღოთ მისი ცხოვრების ყველა მხარე. პოეტი ვერ დაუბრუნდებოდა მაშინ საქართველოს არა მარტო იმიტომ, რომ ათასი თავგადასავლით — ომებსა და ტყვეობაში ჯანდაკარგული იყო, არამედ უფრო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოტივების გამო. დ. გურამიშვილმა რამდენიმე ათეული წლით გაუსწრო ბევრ თავის თანამედროვეს და საქართველოს საზოგადოებრიობის ძირითადი საკითხი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ თავისთვის დადებულად გადაჭრა. დ. გურამიშვილი რუსეთის ქვეშევრდომი იყო, რუსეთის არმიის სამხედრო მოსამსახურე (პრაპორშჩიკი ქართველ გუსართა პოლკისა, რომელიც რუსეთის არმიის რიგებში შედიოდა). უკვე ეს უფლებას არ აძლევდა მას გასულიყო რუსეთის იმპერიის ფარგლებიდან, ე. ი. წასულიყო საქართველოში.

გურამიშვილი უკრაინაში თუმცა ხელმოკლე (სულ ოცნოე კომლი გააჩნდა), მაგრამ ყმების მეპატრონე იყო, მირგოროდელი მემამულე. აქ იყო მისი არსებობის მატერიალური ბაზა, საქართველოში კი ეს მან დიდი ხანია სამუდამოდ დაკარგა.

საქართველოში XVIII საუკ. მეორე ნახევარში სახელმწიფო ხელისუფლება გურამიშვილს პოლიტიკურ მოწინააღმდეგედ ჩათვლიდა.

ჯერ კიდევ 30-იან წლებში დ. გურამიშვილმა მოსკოვში სხვა ემიგრანტებთან ერთად რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო და ფიცი დადო, რომ რუსეთიდან არ გავიდოდა. ესეც ბევრ რამეს ავალებდა მას.

მაგრამ სულითა და გულით, გონებითა და მთელი თავისი არსებით, თავისი შემოქმედების მთელი არსით იგი მუდამ სამშობლოში იყო, თავის საყვარელ საქართველოში. ამაზე მჭერმეტყველურად მოწმობს თვითუღი მისი სტრიქონი, თვითუღი ფრაზა, თვითუღი ლექსი, მისი პოემები, მისი მონუმენტური „გურამიანი — დავითიანი“ თვითუღი ბრძნული გამოთქმა.

გურამიშვილი ახლა საქართველოში, რუსეთსა და ჩვენთან, უკრაინაში ცოცხლობს ახალი, სახარბიელო, ღირსეული დიდებით შემეყული. მისი წიგნი „დავითიანი“ მიკოლა ბაჟანის მიერ თარგმნილია უკრაინულად. ამ წიგნის პირველი გამოცემა სულ რამდენიმე დღეში გასადა. კინოფილმი „დავით გურამიშვილი“ რამდენჯერმე აქვთ ნახული უკრაინულ მაყურებლებს. სიმონ ჩიჭოვანის „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ წაკითხული აქვს თითქმის ყველა უკრაინელს, განსაკუთრებით პოპულარულია ეს სიმღერა პოლტავაში, მირგოროდსა და ზუბოვკაში.

უკრაინელ პოეტ-აკადემიკოსის პ. გ. ტიჩინას პოემა „დავით გურამიშვილი უკითხავს გრიგოლ სკოგოროდს „ვეფხისტყაოსანს“ აგერ 15 წელიწადი იქნება იკითხება და ისწავლება სკოლებში, ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში.

ქართველ პოეტ-აკადემიკოსის გ. ნ. ლეონიძის ცნობილი ლექსი, მიძღვნილი დ. გურამიშვილისადმი მისი საფლავის აღმოჩენასთან დაკავშირებით, იკითხება მირგოროდსა და ზუბოვკაში გურამიშვილისადმი მიძღვნილ ყველა საზეიმო შეკრებაზე, ლიტერატურულ საღამოებსა და ყოველწლიურ მიტინგებზე.

უკრაინის კ. პ. (პ) ცენტრალური კომიტეტი და უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭო, გამოხატავენ რა უკრაინელი ხალხის ნება-სურვილს, თავიანთი დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით უკვდავყოფენ დიდი ქართველი პოეტის ხსოვნას უკრაინაში. მირგოროდში შვიდწლიანი სკოლა ღირსეულად და სიამაყით ატარებს პოეტის დ. გურამიშვილის სახელს. სკოლის მოსწავლეები სიყვარულით სწავლობენ მის თხზულებას, სწავლობენ საქართველოს ისტორიას, საქართველოს ლიტერატურას, მღერავენ ქართულ სიმღერებს, სწავლობენ ქართულ ენას, აწყობენ ექსკურსიებს გურამიშვილის ცხოვრების ეპიზოდებთან დაკავშირებულ ადგილებში.

ქუჩა მირგოროდში, სადაც დავით გურამიშვილი ცხოვრობდა, ახლა მის სახელს ატარებს. ამ ქუჩაზე მცხოვრებლებმა სიხარულით მიიღეს ახალი სახელწოდება და ყოველ სახლში დიდი ინტერესით იკითხება „დავითიანი“.

მირგოროდის ცენტრალურ მოედანზე, კულტურის სასახლის ახალი შენობის ფასადზე, დიდი ზემით დაიდგა დავით გურამიშვილის ბიუსტი მირგოროდში მცხოვრებ მწერალთა — შევჩენკოს, პანას, მირნის, კოროლენკოს ბიუსტების გვერდით.

პოეტის საფლავზე უკრაინის სსრ მთავრობამ დადგა ძეგლი, რომელიც 1949 წლის აგვისტოში სახალხო იქნა გახსნილი. გურამიშვილის საფლავი ცოცხალ ტრიბუნად იქცა, სადაც ახლა ძმური სოლიდარობით ხვდებიან ერთმანეთს საქართველოს, რუსეთის, უკრაინისა და სხვა მოძვე რესპუბლიკების ხალხები, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ცხოველმყოფელობისა და სიძლიერის დასადასტურებლად, ხალხთა სტალინური მეგობრობის განსამტკიცებლად.

ყოველ წელიწადს მირგოროდსა და ზუბოვკაში ჩამოდიან ქართველი ხალხის წარმომავალი მწერლები და მეცნიერები. მათ საქართველოს ერთგული შვილის საფლავს მთაწმინდის მიწა მიაყარეს და საქართველოდან ჩამოტანილი სამი ნორჩი მუხა ჩაურგეს. ეს მუხები ზრდებიან და ფესვებს იღებენ ღრმად, ვით ხალხთა დიდი მეგობრობის საუცხოო, ცოცხალი სიმბოლოები.

ორასი წლის წინათ დიდმა ქართველმა პოეტმა გურამიშვილმა თავისი შემოქმედებით და საზოგადოებრივი მოღვაწეობით უკრაინაში დაიწყო ორი ხალხის შემაერთებელი ხილი გადგება. დღეს ეს ხილი აკებულა და ცისარტყელის ყველა ფერით ბრწყინავს. დავით გურამიშვილმა მეორე ახალგაზრდობა შეიძინა, ახალი ცხოვრება მოიპოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენმა სახელმა, შენმა დიდებამ
საქართველოში ასლად ისარა... —
მიმართავს გიორგი ლეონიძე პოეტს.

ისარა, დავით! ქართლის ჭირს და ცრემლს,
უკუ გასვლია ყველა ვადეში,
საქართველოში გაზატყვლია,
უკრაინაში ჰყვავის ვადეში!


„დავითიანი“ თარგმანები

დავით გურამიშვილის ლექსები და პოემები დღითი დღე ხელმისაწვდომი ხდება დიდი საბჭოთა ქვეყნის ხალხებისათვის. ეს ნაწარმოებები ითარგმნება მოძვე ხალხთა ენებზე და დიდი სიყვარულით სარგებლობს მკითხველთა ფართო მასებში. 1939 წელს „დავითიანი“ მთლიანი თარგმანი გამოვიდა რუსულ ენაზე. იგი თარგმნილი იყო ცნობილი რუსი პოეტების ჯგუფის მიერ.

შეისწავლა მე-18 საუკუნის საქართველოს სოციალ-პოლიტიკური და კულტურული ვითარება. ეს მას აუცილებელ პირობად მიაჩნდა დედანთან უკრაინული თარგმანის აზრობრივი და მხატვრული მიახლოებისათვის. მის მიერ თარგმნილი „დავითიანი“ დიდი პოპულარობით სარგებლობს უკრაინაში. პოლტავის რაიონის კოლმეურნეები მღერავენ გურამიშვილის ლექსებს.

„დავითიანი“ უკრაინულ ენაზე თარგმნა მიკოლა ბაჟანმა. დიდი პასუხისმგებლობითა და პოეტური გატაცებით მოჰქონდა მან ამ საქმეს ხელი. იგი ხაერთოდ განსაკუთრებული სიყვარულით მუშაობს ქართველი კლასიკოსებისა და თანამედროვე საბჭოთა პოეტების ნაწერების თარგმნებზე. მის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ მხატვრული თარგმანის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს. „დავითიანი“ მუშაობის დროს მ. ბაჟანმა საფუძვლიანად

არანაკლები ინტერესი გამოიწვია ცნობილი რუსი პოეტის ნიკოლოზ ზაბოლოცკის მიერ თარგმნილი „დავითიანი“. პოეტს ჩვეული ოსტატობით უთარგმნია ქართველი კლასიკოსის უკვდავი წიგნი. ისევე როგორც მის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები, „დავითიანიც“, რუსული თარგმნითი კულტურის საგანძურში შევა.



„დავითიანი“ უკრაინული გამოცემის გარეკანი

დავით გურამიშვილი — მხატვარი თამარ აბაკელი



ქრონოლოგიური
ბიბლიოთეკა






ქართული
ბიბლიოთეკა





ქართული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





იმ დროს უაღდას



თანგზო გოგოლაძე

მხატვარი ზ. ლეჟავა

მ თ ხ რ ო ბ ა

რაიკომის მდივან ლევან ქუჩუკაშვილს ყველა თანამშრომელი გაფრთხილებული ჰყავდა, — სამუშაო საათებში რაიონიდან არავინ გამოეძახებინათ, თუ ეს უკიდურესად საჭირო არ იქნებოდა, რათა საქმეს არავინ მოწყვეტილიყო, დრო არავის არ დაეკარგა. მიღებისათვის ხალხის საათები იყო გამოყოფილი, ვინც რაიმე საქმე ჰქონდა რაიკომში, ამ დროს უნდა მისულიყო.

შუადღე იყო. რაიკომში სიწყნარე სუფევდა. მისაღებ ოთახში მარტოდმარტო იჯდა ტექნიკური მდივანი, შავტუხა დიმიტრი. პაპიროსს აბოლებდა და რაიონული გაზეთ „კომუნურს“ ახალ ნომერს ჩაჰკირკიტებდა. დრო რომ მოეკლა, სულ თავიდან დაიწყო კითხვა. წაიკითხა გაზეთის სათაური, ფასსაც დახედა... შემდეგ მოწინავე წერილს მთავრობის თვალს. კითხვა არ უჭირდა, თავისუფლად მისდევდა სტრიქონებს, მაგრამ ახლა, როცა დროს მოკვლა სურდა და თავს გაზეთის კითხვით ირთობდა, პირველკლასელივით მარცვლავდა სიტყვებს.

ხანდახან ნაღვლიანად შეხედავდა კედლის დიდ ხაათს, თითქოს ემდურებოდა, რომ ასე გულისგამაწყვლელად მიდიოდა დრო.

სანამ ლევან ქუჩუკაშვილს რაიკომის მდივანად დანიშნავდნენ, დიმიტრი ასე თუ ისე მაინც ერთობოდა. ჯერ კიდევ ამ ოთხი თვის წინათ არავის ჰქონდა აკრძალული, რომ შუადღისას ხალხი მიედო. როცა მოეპარებინებოდათ, მოდიოდნენ და მოდიოდნენ. დიმიტრი თავმომწონედ, ყელმოღერებული ხედებოდა ყველას. მაშინ უფრო მეტი საქმე ჰქონდა: ხშირად რეკავდა დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში. შეეძლო ამა თუ იმ ორგანიზაციის პარტიულროს მდივნისათვის რაიკომის სახელით „ცეცხლიც“ კი შეენთო... ამის გამო დიმიტრი „რაიკომის მეოთხე მდივანად“ მონათლეს. იგი იფერებდა ამ სახელს, საქმიანი კილო, რისი და ბრძანება ახალისებდა.

... იშვიათად რეკავს ხოლმე რაიკომის მდივნის მუშაობიდან კარს ზემოთ ჩიტივით წამომჯდარი ელექტროზარი. მთელი დღე ისე გაივლის, ერთხელაც არ დაიწკრიბებულს. რაიკომის მდივანი უმეტეს დროს ხალხში, სოფელში, დიდ შრომასა და მჩქეფარე ცხოვრებაში ატარებდა.

დრო ზანტად მიდიოდა. გარეთ არც თუ ისე ცხელია. ნიავი დანავარდობდა, ფანჯრებთან ვერხვები შრიალებდნენ. თითქოს ამ ქვეყნად მხოლოდ ესნე იყვნენ გულისხმიერნი და მისაღებ ოთახში განმარტოებული კაცის გართობა სურდათ.

... მაგრამ დიმიტრის სრულიად არ ხიბლავდა ვერხვების რაღაც იდუმალი ჩურჩული. გაზეთის კითხვა დაამთავრა, შემდეგ გასაღებების ჩხაკა-ჩხუკით, თითქოს კრილოხანს ათამაშებოს, მისაღებ ოთახში გაიარა-გამოიარა.

უცებ ელექტროზარი აწკრიბდა. დიმიტრი ხალისით შეირბა. რაიკომის მდივნის კაბინეტის კარები შეაღო და ლევან ქუჩუკაშვილს ჯარისკაცისვით გამოეცხადა.

— ნიკო ნოზაძე გამოიძახე, როგორც კი მოვიდეს, მაშინვე შემატყობინე, — უთხრა ქუჩუკაშვილმა.

რაიკომის მდივანი, გრძელი მაგიდის გასწვრივ წინ და უკან მიმოდიოდა, ხელში გაზეთი „კომუნურს“ ეჭირა, მალ-მალ დახედავდა... კარს გუნებაზე არ იყო, თვალბრუნებით მისიხანება ეტყობოდა.

ნიკოს კარგი დღე არ დაადგებაო, — რატომღაც მხოლოდ ეს გაივლო დიმიტრის, მერე სასწრაფოდ დაფაცურდა, ტელეფონით რაიონული გაზეთის რედაქციას დაუკავშირდა.

— ალლო, ალლო... რომელი ხარ? ნიკო მინდა, ნიკო... რაიკომიდან ვარ! ნოზაძე ხარ? ახლავე, ცოცხალი ხარ თუ მკვდარი, აქ განდი... მალე!.. ჰო, ქუჩუკაშვილი გეძახის...

„ნამდვილად რაღაც არ მოეწონა გაზეთში, — დაფიქრდა დიმიტრი, როცა ყურმილი თავის ადგილზე დასდო. — მაინც რა არ მოეწონა? ორჯერ წავიკითხე, არაფერი შემიმჩნევია“...

გაზეთს კიდევ გადახედა.

„ყველაფერი რიგზეა, — გაიფიქრა მან, — მოწინავეში ლაპარაკია კომუნისტების ავანგარდულ როლზე მკის დროულად ჩატარებაში. ამაზე ხმა არ ამოედება ლევანს, პირიქით, უნდა შეაქოს კიდევაც ნიკო. შემდეგ რა არის? ჰო, „ახალსოფლის მანქანა-ტრაქტორთა სადგური მომზადებული ხდება მკას“. არც თუ ესე დიდი ნარკვევია, ესეც ორჯერ წავიკითხე“...

მეორე გვერდზე საქდების ქრონიკა და უცხოეთის ამბები იყო, „სულ ორი გვერდია, — განაგრძობდა ფიქრს დიმიტრი, — ამის გულისათვის კაცს ერთ დღეს აყრის... იქნებ სამდე გრამატიკული შეცდომა გაეპარა?.. ჰო, ნამდვილად ასე იქნება... მე კი ყურადღება არ მიმიქცევია“.

სანამ ნიკო რაიკომში მივიდოდა, დიმიტრის კიდევ ორჯერ მოასწრო გაზეთის წაკითხვა. ნაკლი ვერა და ვერ აღმოუჩინა. განსაკუთრებით ძალიან მოეწონა ნიკო ნოზაძის ნარკვევი. იმ უზარმაზარ სადგურს მართლაც კარგად აღწერდა ავტორი, ბევრი კარგი მხატვრული ადგილი იყო ნარკვევში. ახლა როგორ უჭებდა მარჯვენას ტრაქტორისტებს, ბრიგადირებს, ზენიკლებს..

„არა, მართლა კარგადაა დაწერილი, — დაასკვნა დიმიტრის, — ნიკო ქების ღირსია. იქნებ იმსახურის იძახებს ლევანი, რომ მადლობა უთხრას, შეაქოს: ყოჩაღ, ასეთი წერილებით შენც დიდ საქმეს აკეთებ... მაგრამ, შუბლშეკრული რად იყო? ალბათ არ უნდოდა, რომ ჩემთვის ეჩვენებინა თავისი კმაყოფილება. ნიკოს კი სხვაგვარად შეხედება... თუ გინდა სანაძლეოს დავდებ“!

ამ დროს დერეფანში სწრაფად მომავალი კაცის ფეხის ხმა გაისმა.

მალე ოთახში მოდელი-მოქალაქე ნიკო შემოიჭრა. რედაქტორი კირიან წყალში ამოვლებულს გავდა: ყველაფერი თეთრი ეცვა—შარვალი, ტუფლები, პიჯაკის ყაიდაზე შეკერილი გრძელი ხალათი. ამ კაცზე ლაზლანდარა ყმაწვილები ამბობდნენ: ნიკოს კოსტუმიდან ერთი ხეირიანი ქუდი ძლივს გამოვაო. მართლა ისე პატარა როდი იყო, რომ ერთი საქუდე ნაჭრით შეკერილიყო მისი კოსტუმი! თავზე ჩაღის შლიაპა ეხურა. სირბილით ისე დალილიყო, რომ სიტყვის ამოღება ვეღარ მოახერხა.

— რა მოგარბენინებდა? ცეცხლი კი არ გვიკიდიო... ცოტა ნელა წამოხვიდოდი, — დიმიტრის დახვდა დიმიტრი და მაშინვე სთხოვა ნიკოს, შენი ნამყენი პაპიროსი მომწვევიყო.

— რაზე მეძახის? — ქაქანით ამოთქვა ნიკომ და ხალათის დიდი ჯიბიდან „უაზბეგი“ ამოიღო, დიმიტრის გაუწოდა. დიმიტრის ჯერ პაპიროსი ამოიღო, აუჩქარებლივ მარცხენა ხელის ცერა თითის ფრჩხილზე დაიბერტყა, მერე პირში ჩაიღო და როცა მადიანად გააბოლა, მაშინ მისცა პასუხი:

— ისეთი არაფერია.



ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ბ. სვანიძე ფოტო მ. მიხაილოვისა

მერე რაიკომის მდივანთან შევიდა და ნიკო ნოზაძის მოხვლა მოახსენა.

ლევანმა ახალი ბრძანება მისცა ტექნიკურ მდივანს:

— შოთას უთხარი მანქანა გამოიყვანოს... ნიკო შემოვიდეს.

დამიტრია კაბინეტის კარი ღია დატოვა, ნიკოს თავის გაქნევით ანიშნა შედიო და თვითონ გარაჟში ჩავიდა, რომ შოთასთვის ლევანის დანაბარები გადაეცა. როცა იქიდან დაბრუნდა, მისაღებ ოთახში მხიარულად მოხაბე რაიკომის მდივანსა და ნიკოს შემოეყარა. ისინი სადღაც მიდიოდნენ. დამიტრია განცვიფრებით გააცილა და წელანდელი სანაძლეო მოგებულად ჩათვალა.

ლევანი და ნიკო ქუჩაში გავიდნენ, სადაც შოთას ლუკვე მოეყენებინა მანქანა.

— წიფლიანში მივდივარ, — უთხრა რაიკომის მდივანმა რედაქტორს, — შენც წამოდი, იქნებ რაიმე გამოხახოს... ხომ იცი, ხიდზედაც უნდა დაწერო... „პობედაში“ ჩასხდნენ და გაემგზავრნენ.

„ჩანს ლევანს ძალიან მოეწონა ნარკვევი“, — გულში კმაყოფილებით გაიფლო ნიკომ და მანქანის რბოლ საზურგალზე თავსუფლად გადაესვენა. ხალი-ხანად ელაპარაკებოდა რაიკომის მდივანს, რომელიც შოფრის გვერდით იჯდა და მიუხედავად მხიარული განწყობილებისა, ნოზაძისაკენ არც კი იხედებოდა, სულ გზას გაჰყურებდა.

წიფლიანში მიმავალი გზა ახალსოფელზე გადიოდა. სოფლის განაპირას ის მანქანა-ტრაქტორთა სადგური იყო, რომელზედაც ღვევანდელ გაზეთში ნოზაძე ქება-დიდებას წერდა.

რედაქტორს გაეხარდა, რომ დღესვე მოუხდა აქეთ გამოვლა. იქნებ რაიკომის მდივანმა სადგურში შევლა მოისურვა. ნიკოსთან ერთად დავლის საამქროს, მანქანების სადგომს, კანტორას... ნოზაძეს აღვრთოვანებით შეხედებოდა, შეაქებენ, რომ ასეთი მხატვრული ნარკვევი მოათავსა გაზეთში... ემტყულებების აზრი და მოწონება ნიკოს ავტორიტეტს ერთიორად გაზრდიდა ლევანის თვალში.

ნეტავ კი სადგურისაკენ გადაუხვევდეთო, — ინატრა ნიკომ.

სადგურს დიდი ფართობი ეჭირა. ხის მესერი იყო შემოფარგლული. ჰიშკარი წიფლიანისაკენ მიმავალ გზის პირად ჰქონდა. ვაშლილ ეზოში დიდრონი შენობები იდგა. ერთგან კანტორა იყო, იქით სამჭედლო-სარემონტო საამქროები. აქვე იყო ფარდულები მანქანების დასაყენებლად.

როცა „პობედა“ მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ჰიშკარს გაუსწორდა რაიკომის მდივანმა შოთას შეაჩერებინა მანქანა. ნიკო წამიერმა სიხარულმა შეიძპრო, რომ ნატურა უსრულდებოდა... მაგრამ მოტყუვდა. ლევანი მანქანიდან ჩამოსვლას არც კი აპირებდა, ნიკოსკენ შეტრიალდა და უთხრა:

— ნიკო, იცი რა გითხრა... ახლა მომაგონდა, რომ ერთ ადგილას ვარ მისახველი... შენ იქ საქმე არ გქნება; სულ მალე კი უნდა დაგბრუნდე. ძალიან დიდ ბოლოში ვიხდი, მაგრამ... მოდე შენ ემტყუნი შეიარე... მე მალე გამოვივლი...

ნიკოსთვის მოულოდნელი იყო ეს სიტყვები. გაოცებული დარჩა. ერთ ხანს გონზეც ვერ მოვიდა. ეწყინა რაიკომის მდივანის ასეთი უცნაური მოქცევა.

რით ახსნას ნიკომ ეს ამბავი? ნუთუ ლევანს არ შეეძლო იქაც მიეყვანა ნიკო, სადაც ახლა გადაწყვიტა წასვლა? აქ რაღაც ამბავია. რაღა მაინცდამაინც ამ სადგურის ჰიშკართან მოაფიქრდა სხვაგან წასვლა, ნიკოს დატოვება?

ნიკო ჩაფიქრდა, მაგრამ ბოლოს რაიკომის მდივანი გაამართლა გუნებაში — იქნებ მართლა სად უნდოდა წასვლა... ნარკვევი რომ მოეწონა, ამაზე ეჭვიც არ შებარვია ნიკოს, თვითონაც ძალიან მოსწონდა, რედაქციაში ვინც წაიკითხა ყველამ უთხრა, რომ ამის დამწერი კარგ რომანს და მოთხრობასაც დასწერსო. ნიკოს ყველამ გაუკეთა გული. დღეს გახარებული იყო კაცი. რაიკომის მდივანმა ცოტა აწყენინა, მაგრამ ეს წყენა გულში ღრმად არ გაიკარა და მალე გამოუნელდა.

...მერედა, რა იოლად შეკრბა მასალა ნარკვევისათვის! დაილოცა ტელეფონის მომგონი! სად ახალსოფლის მანქანა-ტრაქტორთა სადგური და სად რაიონული გაზეთის რედაქცია, — ერთმანეთზე ოცი კილომეტრით მაინც იქნებოდა დაშორებული. ნიკომ კი აიღო ყურმილი და... სადგურის დირექტორს ისე ელაპარაკებოდა, თითქოს იქვე კაბინეტში ყოლოდეს...

...ნიკო სადგურის ეზოში შევიდა, ჰიშკარი გაიარა და გზას წითელი შენობისკენ გაჰყვა, სადაც სადგურის კანტორა იყო. ამ შენობის წინ ნაცრის-



ფერი „პობედა“ იდგა. შოფერი იქვე ტრიალებდა, მანქანას მტვერს აცლიდა. ნიკომ იცნო ბერბუთელი ზურაბი. ჩანს მარამი მოუყვანიაო, ბერბუთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, გაიფიქრა ნოზაძემ და ნელი ნაბიჯით ზურაბს მიუახლოვდა, მიესალმა და ანაზღად კანტორის ღია სარკმელიდან თვითონ მარამის ხმა შემოესმა. რაღაცავე გაცხარებულიყო ქალი.

— რა აყვირებს? — მოკლედ ჰკითხა ნიკომ აულაყულა ზურაბს, არ შეუხედნია, რადგან მალეობთან საუბარი უჭირდა.

— კომბაინს უგვიანებენ... მე რომ მარამის ადგილზე ვიყო, მაგათ ერთ დღეს დავაყრი. ეგ კიდევ კარგად ვერ ექცევა... აბა რა გამოვიდა? დატანჯეს ქალი... ეს დირექტორი ხომ დაპირებებით, ტყუილებითა და ტრაბახით გაბერილი გუდაა, — უბასუხა ზურაბმა, ჩანდა ესეც უკმაყოფილო იყო.

ნიკო გაშრა.

— დაიცა, რას ამბობ, არ მესმის... აქეთ მოიხდე! — თვალბი დააჰყუტა, შოფერს ხელი წაავლო, თავისკენ მოახედა, — როგორ თუ კომბაინს უგვიანებენ? — უგვიანებენ, არ აძლევენ... რემონტი არ დაუშვარებოთ, — გულგრილად უბასუხა ზურაბმა, — დირექტორის დაპირებით დღეისთვის ყველაფერი მზად უნდა ყოფილიყო...

ზურაბი წუთით შეჩერდა, მერე მუქარით დაუმატა: — გაზეთში არიან გასაწერები!

„ეს რა ამბავია?! — თავზარი დავა ნიკოს, — ჩანს ზურაბს არც კი წაუკითხავს ჩემი ნარკვევი...“

თითქოს დანაშაულზე წაასწრესო, ნიკომ ისე მიმოიხედა და სწრაფი ნაბიჯით იქაურობას გასცილდა. უჩინარი რაღაც თავისი ვეებერთელა ხელებით თითქოს მხრებში ჩასჭიდებოდა და უცნაური ძალით საითკენაც მიაქანებდა რედაქტორს. იგი, მართლაც, კი არ მიდიოდა, სწორედ რომ მიფრინავდა. მიუხედავად ამისა, ნიკო ფიქრის აბლაბუდაში გაეხვიდა...

ის მალე გზატკეცილით რაიონის ცენტრისაკენ მიდიოდა, გულში მწარე ბაღალამ უტრიალებდა, ისეთი ოინი, რაიკომის მდივანმა რომ გაუკეთა, არავისგან ახსოვდა მას. დაბაში ისე ჩავიდა, ქუჩუკაშვილი არსად წამოსწევია.

* * *

გაიარა ხანმა. მკა დაიწყო.

რაიკომის მდივანის „პობედა“ სოფლის სწორსა და განიერ შარაზე მისრიალებდა. მარჯვნივ და მარცხნივ თვალუწვდენი ყანები ბიბინებდნენ. კომბაინები ბარაქას მოსდებოდნენ. მუშა ხალხი ჰიჩინახულს იწევდა.

რაიკომის მდივანი მარჯვნივ იყურებოდა, თითქოს ეკრანზეაო, ისე ტრიალებდა მინდორი. გულს გაუხარდებოდა დასანახავად.

თონს კომბაინი მიიწევდა ყანაში. წითელ და თეთრ თავსაფრიან ქალებიც მოჩანდნენ. იქით კიდევ სხვები იყვნენ საერთო კალოზე, სადაც ბურს ახვავებდნენ, სადაც სწონდნენ და მერე მანქანებით მიჰქონდნათ.

ქუჩუკაშვილი ჯერ რაიონის განაპირა სოფლებში მიდიოდა, მერე აქეთ უნდა ჩამოეფლო...

რაიკომის მდივანის შოფერი — შოთა კი ხან გზას გაჰყურებდა, ხან მანქანის მარცხენა ფანჯრიდან მინდორს გაავლებდა თვალს.

ლევანი უცებ მიუბრუნდა შოთას — მანქანა გააჩერეო უთხრა. ლევანი „პობედიდან“ გადმოვიდა და გზის ნაპირას დადგა, ყანაში კომბაინებს გახედა. ერთ-ერთ კომბაინზე, იქ, სადაც საქეა, თერთი ჩხირივით რაღაც დაინახა... კარგა ხანს უყურა და მერე შოთას მიუბრუნდა, რომელიც გვერდში ამოსდგომოდა და ისიც იმ კომბაინს უყურებდა:

— როგორ გგონია, ვინ უნდა იყოს?

— რა ლაპარაკი უნდა, ნიკო... გახამებული შარვალ-ხალათით როგორ გამოსულა, მიკვირს... ალბათ იმ დღის შემდეგ აღარაფერს ერიდება, მგონი კომბაინზევე წერს ნარკვევს.

რაიკომის მდივანს ჩაეღიმა შოფერის ამ სიტყვებზე და მანქანისაკენ შებრუნდა.



აგზავნი ორი ქმისა

ირაკლი გომირიძე

... თვითმფრინავი გმირ ქალაქს უახლოვდება. მისი კონტურები თანდათან გარკვევით მოჩანს. ლარივით ქუჩები, მრავალსართულიანი სახლების თეთრი კვარტალები, გიგანტი ქარხნები, პარკები, ხიდები, მოედნები, ხარაჩოები...

სტალინგრადი საბჭოთა ხალხის გამარჯვების სიმბოლოა! ახლა იგი კომუნიზმის დიად მშენებლობათა ცენტრია.

... ქალაქის პორტი. გემთა ანძები ცაში აწვდილა. დგანან თბომავლები, კატერები, ბარჟები, მათ შორის თევზებივით დასცურავენ სამდინარო ტრამვაები. განუწყვეტლივ ისმის საყვირის ხმები, მტვირთავების შეძახილი. სიცოცხლე სჩქეფს... ზღაპრულ ყანჩასავით აწოწოლებული პორტალური ამწე ნაპირზე რაღაც ტვირთს დასწვდა, აიტაცა და გემბანისკენ გააქანა. დატვირთვას პავლე კატანოვი ხელმძღვანელობს. მან 1947 წელს თბილისის კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა და ახლა ვოლგა-დონზე საპატიო სამუშაოს ასრულებს.

... პატარა, მაგრამ მძლავრი ბუქსირი ზემოთ ქშენით მიცურავს. მას ყვითლად შეღებილი ბარჟები უბია. მათში ათეული ვაგონი ტვირთი ეტევა. „მოსკვიჩის“ გასწვრივ ფართო ტივი მოცურავს, მისი სიგრძე ორ კილომეტრამდე აღწევს. ტივზე დადგმულ ფარდულს ცარცით აწერია: „ჩრდილოეთის ტყე—კომუნიზმის მშენებლობას“.

ამინდი იცვლება. მდინარეს ტყვიისფერი დაედო. სარფის ნახევარკუნძულზე ღრუბლებმა ტყის თავამდე დაიწია. აცივდა. უცებ ღრუბლებში გრანდიოზული სილუეტი გამოისახა.

— ბელადის მონუმენტი!

შესანიშნავ ოსტატს, მოქანდაკე ვუჩეტიჩს ნაჭედ სპილენძში დიდი ბელადის მთელი სიდიადე გამოუსახავს. ბელადს მარცხენა ხელში ქუდი უჭირავს, და წინ იყურება. მისი დიდებული, ბრძნული მზერა მომავლისაკენაა მიმართული.

ამ ადგილას იწყება ვოლგა-დონი.

ამ ადგილას, კრასნოარმეისკიდან დაიწყო გერმანელ ფაშისტთა არმიების დასასრული.

... 1942 წლის 5 ნოემბერი. ღამეა. ფრონტის ხაზი. კაკანებენ ტყვიამფრქვევები, ჰქუხან ქვემეხები. ტყვიები სიკვდილის ბადეს ქსოვენ. აქედან ორი კილომეტრის დაშორებით მდ. ვოლგის ნაპირზე, ოქტომბრის რევოლუციის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა მიმდინარეობს. ნახევრად დანგრეული სახლის სარდაფში ტევა არ არის. მახორკის ბოლში სუნთქვა სჭირს. დგანან ოფიცრები, არტილერისტები, შეიარაღებული მუშები, ქა-



ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლობის მონაწილენი (მარცხნიდან): გოლგა-დონის ვ. ბანდუკაშვილი, სამუშაოთა მწარმოებლები—ა. კაზარიანი, გ. სულაბერიძე და გ. შერაზადიშვილი. (სურათი გადაღებულია სტალინგრადში). ფოტო შ. კვარიაშვილასა.

ლები. აქვეა ავთანდილ სულაბერიძე. ორატორები ერთმანეთს სცვლიან.

მებრძოლები აისს ამ სიტყვით შეხვდნენ: — წინ!

და თითქოს მთელი დედამიწა დაიძრა წინ. მიდიან ტანკები, მანქანები, მოტოციკლები, ქვეითები, გრიალებენ ქვემეხები, გუგუნებენ თვითმფრინავები. ყველა და ყველაფერი წინ მიიწევს... სულაბერიძე ავტომატით ხელში ტანკს მისდევს. სოფელ ჩაპურნიკთან ტანკსაწინააღმდეგო თხრილი გადალახეს. კალაჩთან შეტევა უეცრად შეფერხდა.

— სტალინელებო, წინ!—ყვირის ავთანდილი და ისევ უტეგს. ფაშისტები სახლის ნანგრევებიდან ისვრიან. ავთანდილ სულაბერიძე უეცრად შეჩერდა... და მოსხლეტილად დაეცა: წინ, წინ ჩემს მაგივრადაც!... — ვაშა!!

* * *

— ვაშა!!
ნახევრად ამოვსებულ ყოფილ ტანკსაწინააღმდეგო თხრილთან ინჟინერმა გივი სულაბერიძემ დანარჩენებს გაუსწრო და რაბთან პირველმა მიიბრინა. ვაჟაკის ყარაჩი სახე უზომო ბედნიერების გამომსახველია. ინჟინრის სიხარულის მიზეზი აი ეს დონის ამღვრეული წყალია.

წყალი რაბის ზემოთა ჯებირს მოადგა, ერთი წუთით ადგილზე დატრიალდა, აბუყბუყდა, აქაფდა, მერე მოვარდნილი ნიაღვარივით რაბის კამერაში დაეშვა და როცა ისიც აავსო, ვოლგისკენ გაქანდა.

აქაფებულ წყალს მშენებელი სულაბერიძე მიჰყვება და ამ სიხარულში ახსენდება, რომ სწორედ აქ, ამ ათი წლის წინათ მისი ძმა მებრძოლი სულაბერიძე, იარაღით ხელში, დამარცხებულ მტერს მისდევდა. ძმებს ერთი მიზანი ამოქმედებდათ: თავიანთი მართალი საქმე საბოლოო გამარჯვებამდე მიეყვანათ. ავთანდილს—ბერლინამდე, ფაშისმის

განადგურებამდე, გივის—ვოლგა-დონის შეერთებამდე, ბუნების გარდაქმნამდე.

აღსრულდა! 1952 წლის 31 მაისს დღის 2 საათზე ვოლგა სამუდამოდ შეუერთდა დონს. გაცოცხლდა მიდამო, შეიცვალა ბუნება. დიდი სტალინის ბრძნული აზრი საბჭოთა ხალხმა სისრულეში მოიყვანა.

... გივი სულაბერიძე არხის ნაპირზე ზის, გამარჯვების ამ დიად წუთებში ახალგაზრდა ინჟინერი გავლილ გზას იგონებს...

* * *

თბილისი. 1951 წელი. გივი სულაბერიძე სხვებთან ერთად მტკვრის ნაპირზე წამოწოლილა, უკან კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის წითელი შენობა აღმართულა.

ახალგაზრდებმა ინსტიტუტი დაამთავრეს, ხელში ახლად აღებული დიპლომები უჭირავთ.

— გადასწყვიტე გივი, სად წავიდე, სად ვიმუშაოთ. სამუშაო ბევრია.

სალამოს, სახლში გივის დედაც ერევა კამათში.

— შენი ძმა, ჩემი ავთანდილი, კალაჩში დაიღუპა... წადი იქ, იმუშავე იმ წმინდა მიწაზე...

კალაჩი. დაღუპულ გმირთა ძმათა სასაფლაო. მშენებელმა გივი სულაბერიძემ სიტყვა მისცა ამ წმინდა ადგილს, რომ მთელ თავის სიცოცხლეს ადამიანების კეთილდღეობას მოახმარდა.

* * *

და აი, 1952 წლის 11 ივლისი. ვოლგა-დონის მშენებელთა საერთო კრება. ტრიბუნაზე ინჟინერი გივი სულაბერიძე:

— საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით ვოლგა-დონის არხს ლენინის სახელი ეწოდა. წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ!

... ვოლგა-დონის მშენებლები მთელი თავისი ტექნიკით კომუნიზმის ახალი დიადი მშენებლობებისაკენ დაიძრნენ.



საუცხოო პლიაჟი აქვს გაგრას. იგი თითქმის 5 კილომეტრზეა გადაჭიმული და ულამაზესი პარკი აკრავს. პარკი მთელი წლის განმავლობაში აყვავებულია. საზაფხულო-საშემოდგომო სეზონის განმავლობაში განსაკუთრებით დიდძალი ხალხი ეტანება ამ აგარაკს. სასტუმროები გაჭედებულია მოაგარაკეებით. ძალზე უყვართ ბავშვებს ზღვა. ისინი დიდი სიხარულით ტყუმალობენ წყალში. ასეთ სურათს ხშირად ნახავთ გაგრის პლიაჟზე — „მეგობრები ერთობიან“.

ფოტო ბ. ჯეირანოვისა.



დამსვენებლები სანატორიუმ „უკრაინას“ აივანზე.

გაიარ მხვანე აგარაკი

სუბუმიდან 80 კილომეტრით არის დაშორებული ზღვის აგარაკი გაგრა. ბუნების იშვიათი სილამაზე, სუბტროპიკული და ტროპიკული მცენარეულობა მას წარმოადგენს და მიმზიდველს ხდის. საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის ყველაზე თბილი ადგილია ის; საშუალო წლიური ტემპერატურა აღწევს $+15,1^{\circ}$. აქ ევროპაში ცნობილ აგარაკ ნიცაზე უფრო თბილია. ზამთარში ტემპერატურა $+6,5^{\circ}$ უდრის, ზაფხულში კი — $+22,0^{\circ}$.

ყველაფერი ეს სახელს უხვევს აგარაკ გაგრას. ყოველწლიურად მოედინება დამსვენებლები ჩვენი თვალუწვდენილი ქვეყნის ყოველი კუთხიდან. თქვენ აქ შეხვდებით ყველა მოძ-

მე რესპუბლიკის სახელოვან შვილებს. აქ თავს იყრიან ჩვენი ქვეყნის მშენებლები შორეულ აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთის დაშორებულ ადგილებიდანაც. რა პროფესიის კაცს არ ნახავთ გაგრაში: მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს, სოციალისტური მრეწველობისა და საკოლმეურნეო მიწდევრების მოწინავე სტახანოვლებს...

მოდიან მატარებლით, გემით, ავტობუსებით, საკუთარი ავტოებით, რომ შეგებულება კეთილმოწყობილ, ულამაზეს აგარაკზე გაატარონ, დაისვენონ, აღიდგინონ ნაყოფიერ შრომაში დაზარალებული ენერჯია და შემდეგ ახალი ძალით განაგრძონ მოღვაწეობა დიადი კომუნისმის მშენებლობის ფრონტზე.



ჯანმრთელობისა და სისოსხლის ხეობა

ნაძვის ტყით შემოსილი მთის მწვერვალიდან, ძირს, ხეობის ფსკერზე ვიწრო ზოლად დაკლაკნილი მდინარე მოჩანს. მაღლიდან ვერც კი ამჩნევ მოძრაობს თუ არა იგი. არც იმ ხეების შრიალი მოხსმის შორიდან, მდინარეს რომ მიჰყვებიან ნაპირ-ნაპირ. გაღმა, მთის კალთაზე ღრუბლის ვეება ჩრდილი გაშეშებულია. ჩრდილის გამო ტყე ისე მოჩანს, თითქოს ნაძვნარში სხვა ჯივის ხეები გაურევიათ.


ამ მყუდროებაში უეცრად გაისმის რიტმიული, ნაცნობი ხმაური. ქვევით იხედებით და ამჩნევთ მატარებლის ვაგონთა მწვეწანე სახურავებს, თითქოს პატარა მინდორი დაჰრულა ამ ტყეში. იგი ხან გადაკლაკნილი ტოტების გვირაბში იმალება, ხან გამოჩნდება. რამდენიმე საათია, რაც ბაკურიანიდან გამოვიდა მატარებელი და ახლა ბორჯომს უახლოვდება. პირველად მნახველს ეგონება, რომ ბუნების ამ თითქოს ხელუხლებელ წილში მატარებელი შეცდომით მოხვდა, ეგონება, რომ ეს მირაჟია მხოლოდ. მაგრამ აი, მატარებელი ბორჯომის სადგურში ჩერდება. იქიდან

რიკრიკობით გადმოდიან ბავშვები, მოხუცები, ქალები, კაცები. ისინი ისვენებდნენ ბაკურიანის, ლიბანის, ცემის, წაღვერის და სხვ. კურორტთა სანატორიუმებში, ახლა კი სხვადასხვა პროფესიის საბჭოთა ადამიანები გამოჯანმრთელებულნი და ენერგიით აღვსილი უკან უბრუნდებიან — ზოგი სამუშაო დაზგას, ზოგი პროფესორის კათედრას, ზოგი სკოლის მერხს, კოლმეურნეობის მინდორს, ქვანახშირის მაღაროს, ტრამვაის საქვს და სხვ.

ბორჯომის ხეობა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხეობაა. სხვებს შორის აქ გამოირჩევა ლიკანის ვეებურთელა სანატორიუმი. ეს მთელი სამკურნალო კომპლექსია. აქ ჩვენი დიდი ქვეყნის ყოველ კუთხიდან მოდიან. აქ ნახავთ მოსკოველ ზეინკალ ს. ნ. გოლოვკოს, პენზელ მჩარხავ ნ. პ. სვიატოვს, ჩუკოტკელ ბუნჰალტერ ე. პ. პნიშენკოს, დონბასელ მეშახტე ა. ხ. ზოლენკოს და სხვ. მრავალი მათგანი ახლა ბილეთის შეკვეთას უგზავნის როსტოვს; უნდათ, რომ სამშობლო ქალაქებში ვოლგა-დონის არხით დაბრუნდნენ.



№ 1 სანატორიუმის შაეროსლოარიუმში სანატორიუმის დირექტორი ამხ. ჩორგოლიანი ამოწმებს ავადმყოფთა ჯანმრთელობას.



ლიკანის სანატორიუმის ბანდელოლოგიურ განყოფილებაში ავადმყოფები იღებენ ტალახისა და წყლის აბაზანებს და შხაპებს.




ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ორა მოხუცი ბორჯომის წყლით აღდგარებულს ერთმანეთს. ეს ხომ მართლაც ასე უნდა იყოს. ისინი კუჭის კატარით არიან დაავადებულნი და ყოველგვარი ალკოჰოლური სასმლის მიღება აკრძალული აქვთ. სწორედ ბორჯომის წყალი უწყობს ხელს მათ ჯანმრთელობასა და აღდგარებას.



— ცხრა საათზე ზაფრიევის ლექცია ყოფილა კლუბში, ასე რომ ექსკურსიიდან მალე უნდა დავბრუნდეთ!



№ 1 სანატორიუმის შენობა ძველად თავდა-აზნაურთა დროსტარებისა და ქეიფის ადგილს წარმოადგენდა. რასაკვირველია, ისინი ნადირობასაც არ იფიწყებდნენ, ხოცავდნენ ირმებს და მათ რქებს, ზედ მონადირის გვარის წარწერით, კედელზე ჰკიდებდნენ, როგორც „გმირობის“ დამადასტურებელს. ახლა ეს შენობა მშრომელთა დასვენების კერად არის გადაქცეული. ფოტოზე—№ 1 სანატორიუმის კინოდარბაზი.

ფოტო ო. თურქიასი

ოლიმპიური ასპარეზობა

ბორის პაიჭაძე, სპორტის დამსახურებული ოსტაძი

XV ოლიმპიურ ასპარეზობას განსაკუთრებული ინტერესით მოელოდნენ ყველგან, რადგან მასში პირველად ღებულობდნენ მონაწილეობას საბჭოთა კავშირის სპორტსმენები. და აი გაიხსნა მეთხუთმეტე ოლიმპიური ასპარეზობა, აღმართა ოლიმპიურ თამაშობათა ალამი, რომელზედაც გამოსახული იყო ხუთი რგოლი ქვეყნის ხუთივე მხარის ხალხების მეგობრობის ნიშნად. ააფრინეს 3500 მტრელი. ეს ყველაფერი მიმართული იყო იქითკენ, რომ ოლიმპიური ასპარეზობა ჩატარებულიყო მსოფლიო ხალხების მეგობრობის ნიშნის ქვეშ.

დაიწყო ასპარეზობა. საბჭოთა სპორტსმენები პირველ დღესვე ჩაებნენ დაძაბულ ბრძოლებში. საბჭოთა ტანმოვარჯიშეების გამოსვლა საყოველთაო განცვიფრებას იწვევს, მქუხარე ოვაციით აჯილდოებენ ყოველი მათგანის გამოსვლას. ვაჟთა და ქალთა ტანმოვარჯიშეთა გუნდებმა პირველი ადგილი მოიპოვეს. ისინი დაჯილდოებული იქნენ ოქროს მედლებით.

ყოველ დღე უფრო მეტი ინტერესი იზადება საბჭოთა სპორტსმენების მიმართ. ბურჟუაზიული პრესა იძულებული იყო აღენიშნა საბჭოთა სპორტის სიძლიერე. ბადროს ტყორცნაში სამივე პრიზი საბჭოთა სპორტსმენმა ქალებმა მიიღეს. თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში კარგად გამოიჩინეს თავი საბჭოთა სპორტსმენებმა. მათ ათი მედალი მიიღეს—6 ოქროსი, 2 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოსი. სროლაშიაც გამარჯვებს ჩვენმა სპორტსმენებმა. საბჭოთა კავშირის გუნდმა 27 ქულა მიიღო და პირველი ადგილი დაიკავა მაშინ, როცა ამერიკის შეერთებული შტატების გუნდმა ხუთი ქულა მოაგროვა და უკანასკნელ, მეცხრე ადგილზე გამოვიდა.

მეტად დაძაბული იყო ასპარეზობა კალათბურთში. საბჭოთა კალათბურთელებმა დაამარცხეს ჩილის, ურუგვაის და ბრაზილიის უძლიერესი გუნდები. მათ მეორე ადგილი დაიკავეს და ვერცხლის მედლები მიიღეს. უცხოეთის პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კალათბურთელები ახლა მსოფლიოში უძლიერესთა რიგებში დგანან.

საბჭოთა სპორტსმენებმა თითქმის სპორტის ყველა სახეობაში გამოიჩინეს თავი.

ამერიკელების გამარჯვება სპორტის სხვადასხვა სახეობაში უმთავრესად ზანგი სპორტსმენების დამსახურებას მიეწერება. რასიული დისკრიმინაციის ქვეყანაში, როცა საქმე შტატების პრესტიჟს ეხება, ზანგების გამოყენებას არ თაკილობენ, ადამიანის კანის ფერს არ აძლევენ მაშინ მნიშვნელობას. მაგრამ დამახასიათებელია მაინც ერთი გარემოება: როცა პრიზების მიღება დაიწყებოდა, ამერიკელები, როგორც თეთრკანიანები, წინა რიგებში დგებოდნენ, უკან კი შავკანიან ზანგებს აყენებდნენ.

ოლიმპიურ ასპარეზობაზე, ჰელსინკში, დაძაბული სპორტული ბრძოლა მიმდინარეობდა 16 დღის განმავლობაში. საბჭოთა სპორტსმენებს კარგად ესმოდათ, რომ მათ გამოსვლას შეუწყობდა ინტერესით ადევნებდა თვალყურს საბჭოთა ფიზკულტურელების მრავალმილიონიანი არმია, მთელი საბჭოთა ხალხი. ისინი იბრძოდნენ საუკეთესო ადგილებისათვის, მაგრამ სპორტული პატიოსნებით ხვდებოდნენ „მოწინააღმდეგეთა“ სამართლიან გამარჯვებასაც. როცა ამერიკელმა სპორტსმენმა რიჩარდსმა სიმალღებზე ხტომაში დაამყარა ოლიმპიური რეკორდი, საბჭოთა სპორტსმენი პეტრე დენისენკო გადაეხვია და მიულოცა მას გამარჯვება. რიჩარდსმა გულთბილი მადლობა გადაუხადა კოლეგას და განაცხადა: „მართალი მოგახსენოთ, მე ვერ გამიგია, რატომ ვერ ურიგდებიან სახელმწიფოები ერთიმეორეს ისე, როგორც ჩვენ სპორტსმენები“. ოლიმპიურ ასპარეზობაში თავი ისახელეს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სპორტსმენებმა. მათ თვალნათლივ უჩვენეს, თუ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, მოკლე დროის მიუხედავად, როგორ ამადლდა სპორტის კლასი.

ქურნალ-გაზეთები განსაკუთრებით უსვამდნენ ხაზს საბჭოთა კავშირის სპორტის მაღალ კლასს.





ფინური გაზეთი „უუსი სოუმი“ აღნიშნავდა, —ოლიმპიური თამაშის სპორტული დონე გაცილებით მაღლაა ვიდრე ოდესმეო, რადგან ახლა მრავალი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდები იქნა დამყარებული, მკვეთრად მოჩანდა სპორტსმენების ოსტატობის ამაღლებაო, — თანაც დასძინდა: ამ ასპარეზობის მაღალი დონე გამოწვეულია იმით, რომ მასში პირველად იღებენ მონაწილეობას საბჭოთა კავშირის სპორტსმენები. მათ ოლიმპიურ თამაშობებში შეიტანეს თვალსაჩინო და მრავალფეროვანი წვლილი.

საბჭოთა სპორტსმენებმა ოლიმპიურ ასპარეზობაში პირველი ადგილი დაიკავეს.

ამ ასპარეზობაში თავი ისახელეს საბჭოთა საქართველოს სპორტსმენებმა. ტანვარჯიშში მზია ჯუღელმა მიიღო ოქროს და ვერცხლის მედალი; თავისუფალ ჭიდაობაში ოქროს მედლებით დაჯილდოებული არიან დავით ციმაკურიძე და არსენ მეკოკიშვილი; კლასიკურ ჭიდაობაში შალვა ჩიხლაძე დაჯილდოებულია ვერცხლის მედლით, ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა სიმძიმის აწევაში რაფაელ ჩიმიშკიანმა. მას მიეკუთვნა ოქროს მედალი; ბადროს ტყორცნაში მესამე ადგილზე გამოვიდა და ბრინჯაოს მედალი მიიღო ნინო დუმბაძემ; ბრინჯაოს მედლითვე დაჯილდოებულია ნადეჟდა ხნიკინა; ვერცხლის მედლებით დაჯილდოებულები არიან მორბენალი ლევან სანაძე და კალათბურთელები: ოთარ ქორქია და ნოდარ ჯორჯიკია.

მეთხუთმეტე ოლიმპიური ასპარეზობა დასრულა. დაუშვეს ოლიმპიურ თამაშობათა ალამი. იგი ცერემონიით გაიტანეს მოედნიდან. 25 წუთის განმავლობაში ნელ-ნელა ქრებოდა ოლიმპიური ცეცხლი. 70 ქვეყნის დროშა ფრიალებდა მოედანზე.

დასრულდა ასპარეზობა, საბჭოთა ქვეყნის სპორტსმენებმა საპატიო ადგილი მოიპოვეს. ამით ისინი როდი დაკმაყოფილებიან. ისინი კიდევ უფრო მეტის მონდომებითა და ენერგიით იბრძობებენ საბჭოთა სპორტის კლასის ამაღლებისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის.



ფოტოზე (ზემოდან): დ. ციმაკურიძე, ა. მეკოკიშვილი, მ. ჯუღელი, რ. ჩიმიშკიანი, ლ. სანაძე.

ფოტოზე (ზემოდან): ნ. დუმბაძე, ო. ქორქია, ნ. ჯორჯიკია, ნ. ხნიკინა, შ. ჩიხლაძე.



ქართული სხვიანი ხაჭოჭი ჭიშკრი

მის. რჩეულიძე

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი

ცხვრის მოვლა-მოწინებებს საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. ჩვენი წინაპრები ასეული წლების მანძილზე ცდილობდნენ ცხვრის ჯიშების გაუმჯობესებას და ამ მხრივ წარმატებასაც აღწევდნენ. ქართველმა ხალხმა გამოიყვანა იმერული და თუშური ცხვრის ჯიშები. თუშური ცხვრის კუდის ნაცვლად დღეა აქვს, მისი ხორცის გემო და ხარისხი კარგადაა ცნობილი კავკასიის ფარგლებს გარეთაც. იგი კარგადაა შეგუებული მთაბარობის მკაცრ პირობებს, მაგრამ ამ ჯიშის ცხვრის მატყლი შერეული და უხეში აქვს. ჩვენი ქვეყნის მსუბუქი მრეწველობის მზარდი მოთხოვნილება კი დღითი დღე უკეთესი ხარისხის ნაწ და ნახევრად ნაწ მატყლს მოითხოვს, მაღალი ხარისხის ქსოვილების დასამზადებლად.

ქართველი მეცნიერ-მუშაკებისა და მეცხოველეობის დარგის პრაქტიკოს მუშაკთა წინაშე ისმებოდა საკითხი ნაწმაცლოვანი ჯიშის ცხვრის გამოყვანის შესახებ. ეს პრაქტიკული, მაგრამ, ამავე დროს, მეტად საინტერესო თეორიული პრობლემა, ისე უნდა გადაჭრილიყო, უნდა გამოეყვანათ ქართული ცხვრის ისეთი ახალი ჯიშები, რომელსაც დარჩებოდა ყველა დადებითი თვისებები, რომლებიც ქართულ ცხვიმკუდიან ცხვრებს აქვთ და მასთან ერთად ექნებოდა ნაწი მატყლი. ამავე დროს ნაწმაცლოვანი ცხვრის ბუნება ისე უნდა გარდაქმნილიყო, რომ მთაბარობის პირობებისადმი შეგუების უნარი ნაწმაცლოვან ცხვრს უხეშმატყლოვანი ჯიშის მსგავსი ჰქონოდა.

საბჭოთა ადამიანების თვისებას არ წარმოადგენს ბუნებისადმი მორჩილება და ი. მიჩურინის დევიზი „ჩვენ არ უნდა ვვლოდეთ წყალობას ბუნებისაგან...“, მუდამ სახელმძღვანელოდ აქვს სტალინური ეპოქის შემომქმედ ადამიანს.

საქართველოს პირობებს შეგუებული ნაწმაცლოვანი ჯიშის შექმნის იდეა პირველად მეცხვარეობის ზონად ურ სადგურში ჩაისახა. ჯერ კიდევ 1932 წლიდან სადგური ამ მიმართულებით დიდ ცდებს აწარმოებდა და გარკვეულ შედეგებსაც მიაღწია.

1938 წ. ელდარის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობას იწყებს ზოლტენიკოსი ივანე ბაძოშვილი. ჯერ კიდევ ზონად ურ სადგურში მუშაობის პერიოდში ივ. ბაძოშვილი სხვებთან ერთად მუშაობდა პრობლემაზე: თუშური ცხვრისა და ნაწმაცლოვანი ჯიშების შეჯვარების შემწეობით ცხვრის ისეთი ჯიშის მიღებაზე, რომელსაც ნაწი მატყლი და ცხვიმკუდიანი კუდი ექნებოდა. საფიქრებელი იყო, რომ დუშის შეერთება ნაწმაცლოვან ცხვრს მთაბარობის პირობებისადმი შეგუების უნარს შემატებდა. ასეთ მოსაზრებას საფუძვლად ედგა საქართველოს სსრ-ის დამფუძნებლებში ჩატარებული ცდები. ცდების შედეგად გამოირკვა, რომ ცხვრის დუშა უწყდობის დროს პირუტყვისათვის მარაგს წარმოადგენს. დუშიანი ცხვარი მჭლეკუდიან ცხვარზე გაცილებით უკეთ მოძრაობს ციცაბო ფერდობზე და სხვ.

ახალი ჯიშის გამოყვანის საქმეში ივ. ბაძოშვილის მუშაობა სამ ძირითად ეტაპად შეიძლება დაიყოს.

მუშაობას პირველ ეტაპზე ის დაკმაყოფილდა ისეთი ცხვრების მოძიებით, რომელთაც ერთგვაროვანი მატყლი, ცხვიმკუდიანი კუდი და მთაბარობისადმი კარგი შეგუების უნარი ჰქონდა. ამ პერიოდში მატყლის სინაზის ის გადაწყვეტი მიიღვენილბას არ აძლევდა. მუშაობის მეორე პერიოდში სასურველი ცხოველების გამოყვანაში მდგომარეობდა. ამ დროს ის არჩევდა ისეთ ცხოველებს, რომელთაც განვითარებული ცხვიმკუდიანი, დიდი ცოცხალი წონა, კარგი აგებულება, მაგარი კონსტრუქცია და მთაბარობის პირობებისადმი კარგი შეგუება შენამებული ჰქონდათ ნაწი მატყლის ქონასთან. ძირითად ჯგუფში (600 სული) სასურველი ტიპის ცხვრების მოძიების შემდეგ, იგი აწარმოებს მკაცრ გადარჩევას და შერჩევას, სასურველი ტიპის მემკვიდრეობის განმტკიცების მიზნით.

ხანგრძლივი სახელექციო მუშაობის შედეგად ივ. ბაძოშვილმა დასახულ შედეგს მიაღწია და 1951 წელს აპრობაციისთვის წარმოადგინა ნაწმაცლოვანი ცხვიმკუდიანი ცხვრის ახალი ჯიშის.

ახალი ჯიშის ცხვრის აპრობაციის მიზნით, საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მიმდინარე წელს გამოიყო კომისია აკადემიკოს ლ. კ. გრებენის თავმჯდომარეობით. 1952 წლის აპრილში ადგილზე დათვალიერების შედეგად კომისიამ ახალ ჯიშად აღიარა 7969 სული ცხვარი.

ნაწ მატყლიან ერთად ახალი ჯიშის ცხვრს თუშური ჯიშის ცხვრის კუნტულის ტიპის ცხვიმკუდი აქვს. მისი მკერდი განიერია და ღრმა, ნეკნები—ამობურცული, ზურგი და მენჯი—სწორი, ბარკალი—კარგად განვითარებული, სხეული—მრგვალი, მკერდის, აღნაგობა—ხმელი, მაგარი და სწორი ფეხები, მაგარი კარგად განვითარებული ჩლიქებით. კისერზე და სხეულზე ცხვრს ნაოჭები არა აქვს.

ახალი ჯიშის ცხვარი ენერგიული და მოძრავია, იგი კარგად არის შეგუებული მაღალმთიან ალპურ საძოვრებს და მთაბარობის მკაცრ პირობებს. კარგად იტანს შორ მანძილზე სწრაფ მოძრაობას და ზამთრის მერხერ და გარდასვლად საძოვრებსაც კარგად ეგუება.

ახალი ქართული ნაწმაცლოვანი ცხვიმკუდიანი ჯიშის ცხვრის გამოყვანას დიდი სამეურნეო და მეცნიერული მნიშვნელობა აქვს. ამ ჯიშის ცხვრის გამოყვანით საქართველოს, დაღისტნის და კავკასიონის მთიანეთის სხვა მცხოვრებთა კოლმეურნეობებს საშუალება ეძლევათ დაბალპროდუქციული უხეშმატყლოვანი ცხვრის ნაცვლად მაღალპროდუქციული ნაწმაცლოვანი ცხვარი მოაწინონ, რომელიც თითქმის ორჯერ მეტ მატყლს იძლევა. ამ ცხვრის მატყლი უხეშმატყლოვანი ცხვრის მატყლზე 4-5-ჯერ მეტს ფასობს.

ქართული ნაწმაცლოვანი ცხვიმკუდიანი ცხვრის გამოყვანით მეტად საინტერესო თეორიული პრობლემაც გადაიჭრა. საქმე ის არის, რომ რამდენიმე ათეული წლის წინათ დასავლეთ ევროპის სწავლულმა ზოლტენიკოსებმა სცადეს ერთ ცხვარში შეერთებინათ ნაწი მატყლისა და დუშის თვისება. მათი ცდები უშედეგოდ დამთავრდა და გადაწყვიტეს, რომ ამის მიღწევა შეუძლებელი იყო. აღნიშნული ცდების წარუმატებლობა დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ ქვეყნებში ორი ძირითადი მიზეზით არის გამოწვეული: ა) მუშაობის ფორმალისტური-იდეალისტური მეთოდოლოგიით და ბ) კერძო, ინდივიდუალური კაპიტალისტის მსოფლმხედველობით. კაპიტალისტური სისტემა ცდების დიდ მასალაზე წარმოების საშუალებას არ იძლევა, მით უმეტეს ისეთი ცდებისა, რომელიც ხანგრძლივ მუშაობას მოითხოვს და კაპიტალისტს უშუალო მოგებას იმავე წლებში არ აძლევს. ნ: მდვილი შემოქმედებითი მეცნიერების ყველა პირობა მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაში არსებობს და ამიტომ ეს პრობლემაც პირველად მხოლოდ აქ იქნა გადაჭრილი.

საბჭოთა ადამიანი არ შეიძლება დაკმაყოფილდეს უკეთ მიღწეული შედეგით. პროდუქციულობის საგრძნობი გაუმჯობესების მიზნით ახალი ჯიშის ცხვრის შემდგომი სრულყოფა ივ. ბაძოშვილის მუშაობის მესამე ეტაპს უნდა შეადგენდეს.

სურცა ბერულავა

თბილისის ზღვაზე

მე ამ ზღვის ფსკერზე, სადაც ახლა ძლივს აღწავს თევზი, ვიჯამ ფხვროტხვით, როცა წყალმა დაიბრიალა, ივრის ტალღების საღებობამოლო სასწრაფოდ შემსვი და მივაწოდე ძმობილს ჩამსას სასმე ფიალა.



ქართული
წიგლიერთა
კავშირი

დავლიე კიდევ და სიცოცხლის გზა დაგილოცე შენ, ვინც ათეულ წლებსი შემდეგ დაიბადე, შენ, ვისაც სწორად ამ დაზავალულ, დამწვარ მინდორზე გაბიციენებან მხიარულად ქართლის გარდები.

შთამომავლო! ოდეს ზღვაზე გაიხიარებ, მარტო კი არა, — შენს საფიცარს სატფოსთან, წყვილად; ოდეს ნაშიდან დაინახავ მწვანე ხეივანებს და გაბახარებს იისფერი სამგორის დილა;

ოდეს უმცრად აგარდებ ფკრიალ ტალღა და შენს თანამგზავს აღმოსდებან ხმა ალტაცების, — ამცნე ბგომას: — ამ ზღვისძირში იხდენენ-თქო ლალად დღეგანდელ დღეზე მიტენებამ ლეშისკაცები...

ოთარ ჭყლიძე

ზ ჳ ა შ ი

ზღვაზე გემზე — სველ ნივრებით დასუნქულმა ჩაბვიარა შრიალით.

მე ჩავთვალე ხან ჩვენივად, ხან კუნძულად ტიპრი ნარინჯიანი. გავტყარდი მწვანე ხეებს თავაწოულს, ზღვის წყლით გადანაგულბას, ყველა ნივრე თიქოსს გაგდა ახალწვეულ ჭაბუქს ხანძარბაზოვულს.

ჩამსმოლა, ყველა ნივრე რომღვიაროლა, შრიალბლად გზა და გზა, თითქოს ბრძნობდენ რა ბრძნობები მოკლოდათ სუსტან, მართან, გავლასთან.

თითქოს ბრძნობდენ, რომ ელოდათ მიწა, მათი სამოსახლო ახალი. ყირიმი ქართულ ნივრეთა მისამართი, ყუბაბაბით ნახნაბი.

ჩვენს გემზეზე საუბიომ ზემეს მარში, ვაუა დაბარიალეს. საუბიომ მარშით უნდა შემხვე ზღვაში მშვიდოკის გზით მივავლბას.

შავი ზღვაა ამის მოწვეა, ზღვა ზვიადი, ბოკოპარი ზღვა ჩვენი. მარში ვეწყდა. ვამეცვალა ხსნიათი გამახსენდა სხვა გემი.

მას ქაჩალის სახელი აქვს ამაზრავანი, ბავშვთა გავამბას ქრის გზაზე, მან ხეილის ნაცვლად დარბა ზარბაზნები კორეალთა მიწაზე.

მას ტანვები, ჯაბრფონსები ხვენით მიამას, გემბანს სისხლით გაიბანს, სიმართლისა და მშვიდოკის ეუბინა გულშახიან კანიალს.

გილოკონთა ხმა აუბნებს რისხვით სასმე, მოგუბუნე ზღვა ხალხთა: — კვლავ მშვიდოკა იუბიბებს იმ მიწაზე, სადაც ომი გაჩაღდა...

5723



მსახიობები მუშაობენ

დღეს ქუთაისის საავტომობილო ქარხანას ეწვივნენ ლენინის ორდენის თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობები. გულდასა და გულთბილად შეხვდა ერთმანეთს ორი შემოქმედებითი კოლექტივი — ქართული ავტომობილის შემოქმედები და ქართული სცენის ოსტატები.

სტუმრები გაემართნენ უზარმაზარი სამქროსაკენ, სადაც მათ სახელდახელოდ გამართული ესტრადი ელოდათ; ესტრადის მაგივრებას სწევდა ამ საავტომობილო გიგანტის მიერ გამოშვებული პროდუქცია — ბორბლებადან ავტომანქანამდე; ეს უდიდესი ბატონის ცემა იყო სტუმრების მიმართ. და ტაშის გრიალში აღღვებით შედგა ფენი ახალ მანქანაზე სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა აკაკი ვსახიძემ.

ავტომანქანის ბაქანზე ერთმანეთს ცვლიან მსახიობები. დახსწრენი ცნობენ თვითივე მსახიობს და ახსენებთ მათ მიერ შექმნილი დამაჯერებელი სცენიური სახეები, რომლებიც რუსთაველის სახელობის თეატრის საავტომობილო წარმოდგენებზე ნახეს. აი, „ესტრადაზე“, რომელზედაც ლამაზი ასოებით ამოტვიფრულია ორი სიტყვა „ქუთაისის ავტოქარხანა“, დგას ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მსახიობი აკაკი ხორავა. იგი მადლობას უხდის მუშებს გულთბილი შეხვედრისათვის.

კონცერტი დამთავრებულია. განა მართო სტუმრები არიან კმაყოფილი ამ შეხვედრით, — მეტად ნახიზოვნები დარჩნენ დამხვედრებშიც. სიტყვას იღებს შემკეთებელ-მექანიკური სამქროს უბნის უფროსი, ავთანდილ მეთონიძე. იგი რამდენიმე ნათელ წინადადებაში გამოხატავს თავის გულწრფელ გრძობას.

გაისმის ქარხნის საყვირის ხმა. აფუგუნდნენ დაზგები, ადგილიდან დაიძრა უზარმაზარი კონვეიერი. მსახიობები ათვალდებენ სამქროს, ცნობისმოყვარეობით უცქერიან ურთულეს მექანიზმების მუშაობას. ბოლოს მათი ყურადღება მიიზიდა მთავარმა კონვეიერმა, რომელსაც მანქანის რკინის ჩარჩოები მიჰქონდა. ამ ჩარჩოებს გზადაგზა ემატებოდა ნაწილები და თანდათან დასრულებული მანქანის სახე იღებდა. აი, ერთი მანქანა, რომელიც მწკრივში ყველაზე წინ იდგა, მიუახლოვდა კონვეიერის კიდეს. შოფერმა კაბინის კარი გააღო... აფუგუნდა ძრავი, დატრიალდა ბორბლები და მანქანა დამოუკიდებლად გავიდა სამქროდან. სამქროში ტაშისცემა გაისმა. რუსთაველის სახელობის თეატრის შემოქმედებითი კოლექტივმა პირველად ნახა ქართული ავტომობილის დაბადება. მათ არ დაავიწყდებოდა ეს დღე. ავტოქარხნის მუშა-მოსამსახურეებსაც დიდხანს ემსახურებათ საყვარელ სტუმრებთან შეხვედრა.

ვ. კეკელიძე

საქვაკლი საბჭოთა ოჯახზე

სუბუმი სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა სუბონში უკანასკნელად დადგა ახალგაზრდა თურქმენი დრამატურგის ჰუსეინ მუხტაროვის პიესა „ალანის ოჯახი“.

ავტორმა, აშხაბადის თეატრის კოლექტივთან ერთად, ამ პიესისათვის სტალინური პრემია მიიღო. „ალანის ოჯახი“ — მიძღვნილია მეტად ამბულგებელი თემისადმი — კომუნისტური მორალის მაღალი პრინციპების განმტკიცებისათვის. მოქმედება წარმოებს აშხაბადში, ხანში შესული რკინიგზელი მუშის ალან მორდანოვის ოჯახში, რომელიც თავისი მეუღლით ბიკეთი და შვილებით ცხოვრობს ბენდიერი ცხოვრებით. ალანის ოჯახისათვის, ისე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანისათვის, სამშობლოს ინტერესი, საზოგადოებრივი ინტერესი ყველაფერზე მაღლა დგას. ამიტომ საშინლად განიცდის მორდანოვების ოჯახი იმ ცნობას, რომ მათ უფროს შვილს, ბაირამს, მოწინავე კოლმეურნეობის ხელმძღვანელს, დაურღვევია სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება, სოციალისტური ქონება გაუნიავებია და თავისი დანაშაული ფიქტიური აქტით სურდა დაეფარა. ბაირამის ეს საქციელი მისი მამის პატიოსან ოჯახში იწვევს სამართლიან აღშფოთებასა და გაკიცხვას. ბუნებრივია მორდანოვების ოჯახის აღელვება, ბაირამის — საბჭოთა ადამიანისათვის შეუფერებელი საქციელის გამო. ოჯახის ეს პატრიოტული პრო-


ტესტი გასაოცარ აღმზრდელობით ზეგავლენას ახდენს ბაირამზე, აიძულებს მას ვაჟკაცურად აღიაროს შეცდომები და გააკიცხოს თავისი საქციელი.

„ალანის ოჯახი“ სუბუმი სცენაზე დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რეჟისორმა სერგო ჭელიძემ. სიტუაციების სიმძაფრეს შექმლო თეატრი წაყვანა კონფლიქტის გარეგნული, „ფეშქური“ გადაწყვეტის გზით. რეჟისორი სხვა გზით წავიდა, მისი სპექტაკლი თავიდან ბოლომდე მოკლებულია გარეგნულ ფეშქვებზე აგებულ მიზანსცენებს, ამით იგი თავისუფალია მელოდრამატისმილისაგან. მაშინაც კი, როცა დრამატული მოქმედება აღწევს თავის კულმინაციას, სცენაზე ყველაფერი ისევ უბრალოდ და ჩვეულებრივად გამოიყურება, მხოლოდ მომქმედ პირთა სულიერი განცდები უფრო დაძაბული ხდება.


პიესაში მონაწილე მსახიობთა თაშინაში მშვენიერი ანსამბლის შთაბეჭდილებას სტოვებს. თვითიველი მათგანი დამაჯერებლობით წარმოასახვს მომქმედ პირთა სახეებს, რომელთაც ისინი უქვემდებარებენ ერთ მთლიან თემს — საბჭოთა ადამიანების სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო თავდადებას და საბჭოთა ოჯახის პატრიოტული ერთიანობის თემას.

სპექტაკლი მაყურებელმა თბილად მიიღო.

ლ. მარინაშვილი



სცენა „ალანის ოჯახის“ უკანასკნელ მოქმედებიდან. მარცხნიდან: ალტი — ი. კალანდაძე, იაგული — ნ. ყიფიანი, ბიკე — ა. ჯანაშვილი, ყურბანი — გ. რევაზიშვილი, ატა — ს. გამრეკელი, ალანი — ლ. ჭელიძე, ზინიდა — თ. ბოლქვაძე. ფოტო გ. ალბერტისა



ახალგაზრდა რეჟისორი გრიგოლ ლორთქიფანიძე

უშვა ოთხი რეჟისორი დრამატული თეატრებისათვის და ერთი მუსიკალური თეატრისათვის. ესენი არიან: გრიგოლ ლორთქიფანიძე, თენგიზ ყანდინაშვილი, იური კაკულია, შოთა ქარუნაშვილი და ე. გელვეანიშვილი.

გ. ლორთქიფანიძემ სადიპლომო სპექტაკლი მოამზადა ვილნიუსის (ლიტვის სსრ) რუსულ დრამატულ თეატრში. ამ თეატრში მან ერთი სეზონი იმუშავა და დადგა ორი სპექტაკლი. გარდა ამისა, ქ. კაუნასში მან განახორციელა მუსიკალური სპექტაკლი „მეოცნებენი“.

თ. ყანდინაშვილმა სადიპლომო სპექტაკლი დადგა თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის რუსულ თეატრში, შ. ქარუნაშვილმა ქ. რიგის (ლატვიის სსრ) რუსულ თეატრში, ხოლო ი. კაკულიამ — ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრში.

ე. გელვეანიშვილი გაგზავნილია სამუშაოდ სერდლოვსკის მუსიკალურ კომედიის თეატრში.

თბილისის შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი დაამთავრეს: ნოდარ დეისაძემ, ოთარ თალაკვაძემ, გურამ ბატარაიამ, კონსტანტინე სურმავემ და ეურემ შაფთოშვილმა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა კომიტეტის დრამატული თეატრების მთავარმა სამმართველომ მაღალი შეფასება მისცა გ. ლორთქიფანიძის მიერ ვილნიუსსა და კაუნასში დადგმულ სპექტაკლებს. „სამივე დადგმა, — ნათქვამია სამმართველოს უფროსის წერილში, — ამხ. ლორთქიფანიძეს ახასიათებს, როგორც საყვებით პროფესიულ და შემოქმედებრივად სანტიერესო რეჟისორს“.

ეს თვისებები გ. ლორთქიფანიძემ ნათლად გამოამჟღავნა სპექტაკლ „სასტუმროს დიასახლისშიც“, რომელიც მან, ქ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დადგა. ახალგაზრდა რეჟისორმა შესძლო სწორად გამოეყენებინა თეატრის აქტიორთა ოსტატობა და დაემორჩილებინა იგი თავისი მხატვრული ჩანაფიქრის გახსნისათვის.

ნარჩევები

„ლაპარაკობს“ თუ არა თევზი?

ფართოდაა გავრცელებული აზრი, რომ თევზი არავითარ ბგერას არ გამოხატავს. „თევზივით მუხუჯიო“, — იტყვიან ხოლმე. მაგრამ ეს შეხედულება ახლა დარღვეულია მეცნიერების მიერ. ამჟამად გამოგონილია ისეთი ჰიდროაკუსტიკური ხელსაწყოები, რომელთა შემწვობით წყალში იჭერენ ბგერებს და აფხვებენ იწერენ. ამ ხელსაწყოების შემწვობით დამტკიცებულია, რომ ყოველი თევზი (დღავი, ზუთხი, ხამსა და ა. შ.) საკმაოდ გარკვეულ ბგერებს გამოხატავს, რომელნიც დამახასიათებელია თვითიული თევზის სახეობისათვის. მოკლედ რომ ვთქვათ, ყოველი თევზი თავისებურად „ლაპარაკობს“.

ზოგიერთი კალიასავით კრიჭინებს, ზოგი — ბაყაყივით ყუიჭინებს და თან უხტვენს, ზოგი — თითქოს კვენისიო და თან ჰყუიჭინებს და ა. შ. თუ აფხვს რადიობარატურის საშუალებით ჩავრთავთ, გაისმის მთელ ამ ბგერათა ერთობლივი, საკმაოდ ხმაიდალი გუგუნი, ამა თუ იმ თევზის „ლაპარაკი“.

ამ აღმოჩენას უდავოდ დიდი პრაქტიკული მომავალი აქვს: ბგერდამჭერების საშუალებით სავსებით შესაძლებელი გახდება ზუსტად განისაზღვროს ის ადგილები, სადაც ამა თუ იმ სახეობის თევზი იყრის თავს და ისიც, თუ რა ფართობი უჭირავს ერთად თავმოყრილ თევზს.

გელურები და ბანჯგელიანი მუხლუხები

რატომღაც დამკვიდრებულია აზრი, რომ ბელურა მკვანებელი ფრინველია. ქვემოთყვანილი ფაქტი კი ადასტურებს, რომ ბელურას ხშირად დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია.

შარშანწინ როსტოვის ბოტანიკურ ბაღში დაიწყო აუარებელმა ბანჯგელიანმა მუხლუხმა. 1951 წლის ადრე გაზაფხულზე ამ მუხლუხებმა მიატოვეს თავისი ბუდეები და მოედგნენ ბაღის ახალკვირტყრილ მცენარეულობას. მოსალოდნელი იყო,

რომ ტყის ეს საშინელი მავნებელი მთელ ბაღს იმსხვერპლებდა. მაგრამ მაისის ბირველ რიცხვებში ბაღს მიაშურეს ქალაქისა და მინდვრის ბელურებმა და მუხლუხებს შეესივნენ. ათასობით ბელურები ირეოდნენ ერთმანეთში, დაფრინავდნენ ხიდან ხეზე, ძვრებოდნენ ბუჩქებში, დახტოდნენ მიწაზე და ანადგურებდნენ მუხლუხებს.

ასე გადაარჩინეს ბელურებმა განაგებებს ბოტანიკური ბაღი.

მცენარის ქანთან ბრძოლა


გარდის უნაგ ყოველთვის დიდი ზარალი მოჰქონდა სელექციონერებისა და ჰიბრიდიზატორებისათვის. ამ გარემოებამ ჯერ კიდევ 45 წლის წინათ ჩააფიქრა ი. ვ. მიჩურინი და იგი შეუდგა სოკო-ჟანგის საწინააღმდეგო საშუალებათა ძიებას. ამ ძიების დროს მან ყურადღება მიაქცია ბოსტნის ჩვეულებრივ სარეველა ბალახის — რძიანას მწარე წვესს, რომელსაც სწრაფად გაშრობის უნარი აქვს. მიჩურინმა აიღო ახალმოწყვეტილი რძიანას წვენი და რამდენჯერმე წაუსვა მცენარის დაზიანებულ ნაწილს და მის მახლობლად ჯანსაღ ნაწილსაც. წასმას აწარმოებდა იგი დღეში ორ-სამჯერ, დღე გამოშვებით. მესამე წასმაზე ჟანგი უკვე ჰქრებოდა. ამ შემთხვევაში, თუ ჟანგი მცენარის ფოთლებზე იყო დაზიანებული, მიჩურინი რძიანას წყლიან ნაყენს ასხურებდა მათ.

ახლა, საბჭოთა მეცნიერის პროფესორ ვ. პ. ტოკინის გამოკვლევათა საფუძველზე ჩვენთვის ნათელია, რომ ი. ვ. მიჩურინმა რძიანაში აღმოაჩინა ფიტონციდი — ეს არის მცენარეულობის ნივთიერება, რომელიც სპობს

ბაქტერიებს, ზოგიერთ სოკოებსა და უმარტივეს ორგანიზმებს, მათ შორის დამავადებელ მიკროორგანიზმებსაც. მცენარის მიერ ფიტონციდის წარმოქმნა და გამოყოფა ფართოდაა გავრცელებული მცენარეთა სამყაროში. ამ მოვლენის არსი, როგორც ჩანს, ძირითადად მდგომარეობს იმაში, რომ თვით მცენარეც საკუთარი თავი დაცვას დაავადებისაგან. ფიტონციდი სპობს არა მარტო იმ მიკროორგანიზმებს, რომლებიც უშუალოდ იჭრებიან მცენარეში და რომლებსაც მცენარის გარსის ფიტონციდური წვენი სპობს, არამედ იმ მიკროორგანიზმებსაც, რომლებიც მცენარის გარშემო ირევიან (ჰაერში, წყალში, ნიადაგში და ა. შ.). ამ შემთხვევაში მათზე ფიტონციდის მფრინავი ფრაქციები მოქმედებენ, და მრავალი მცენარე, შეიძლება ითქვას, პირდაპირ „გარშემორტყმულია ბაქტერიციდური ზონით“.

აღსანიშნავია, რომ ასეთი ბაქტერიციდური ზონით გარემოცული და ფიტონციდური მცენარის კლასიკური ნიმუშს წარმოადგენს ნიორი.

(ქურნ. „პრიროდა“, 1952, № 3, 5, 6).



პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში საბჭოთა კავშირის ძალებითა და სახსრებით შენდება კულტურისა და მეცნიერების სასახლე. პროექტის მიხედვით შენობის მოცულობა უდრის რვასი ათას კუბურ მეტრს. შენობის საერთო სიმაღლე იქნება 220 მეტრი. მშენებლობა 1955 წელს დასრულდება.

ეს მრავალსართულიანი სახლი შენდება გამოჩენილი საბჭოთა არქიტექტორების პროექტის მიხედვით.

ს უ რ ა თ ე ე (ზემოთ): ვარშავის კულტურისა და მეცნიერების სასახლის პროექტი.

ჩენოსლოვაკიის ქალაქ ბილოვეცში დიდი ზემოთ გაიხსნა „გათავისუფლების ძეგლი“, რომელიც აღმართულია პიტლერელი ოკუპანტებისაგან საბჭოთა არმიის მიერ ამ ქალაქის გათავისუფლების აღსანიშნავად.

ს უ რ ა თ ე ე (ქვემოთ): „გათავისუფლების ძეგლის“ გახსნა.



უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში შენდება უდიდესი სტადიონი, რომელიც დაიტევს 100 ათას მაყურებელს.

ს უ რ ა თ ე ე (ქვემოთ): ბუდაპეშტის სტადიონის საერთო ხედი. (საკლესის ფოტორიკა)






ფოტო-მოთხრობა

ო. თურქიასი


პიონერთა ბანაკში პიონერთა ორკესტრი ემზადება საღამოს კონცერტისათვის. მანანა და თამაზი გატაცებით უსმენენ მუსიკას.



რეპეტიცია დამთავრდა, მაგრამ მანანა და თამაზი რატომღაც არ მიდიან.



...და როცა მარტო დარჩნენ: — არაფერი არ ისმის, რატომ არ უკრავს, თამაზ? ეჰ... შენ სულაც არ იცი დაკვრა.



—მე კი ვიცი!

უცხეთის კურორტი

ლა ბ ი რ ი ნ ი

ორმა უმუშევარმა ამერიკელმა გადასწყვიტა დახმარება ეთხოვნა მუნიციპალიტეტში. ერთმა მათგანმა ქუჩაში დაიწყო ცეცხლი, მეორე კი მუნიციპალიტეტის უზარმაზარ შენობაში შევიდა. მისაღებ ოთახში მას ჰკითხეს: — წმინდა სისხლის თეთრკანიანი ხართ? — დიახ. — მაშინ შედით იმ კარებში. შემდეგ ოთახში მას ჰკითხეს: — ასპროცენტის ამერიკელი ბრძანდებით, თუ ემიგრანტი? — ასპროცენტის ამერიკელი. — მაშინ იმ კარებში შედით. იქ დახმარების მთხოვნელს ასეთი კითხვა მისცეს: — სრულიად უმუშევარი ხართ, თუ ნაწილობრივი? — სრულიად. — მაშინ პირდაპირ იმ კარებში. — პოლიტიკურად კეთილსამედო ხართ? — დიახ. — იმ კარებში.

— გყავთ თუ არა მეგობრები კომუნისტებსა, და მშვიდობის მომხრეთა შორის? — არა. — გაიარეთ ეს კარები. — ცოლიანი ხართ თუ უცოლო? — ცოლიანი, სურ. — წადით მარჯვნივ. — პასუხისმგებლობა ხომ არ ყოფილა თქვენი ცოლი ანტიამერიკული საქმიანობის გამო? — არა, არ ყოფილა. — მაშინ იმ კარებში. — ბავშვები გყავთ? — მყავს. — იმ კარებში. — ერთი ბავშვი გყავთ, თუ რამდენიმე? — რამდენიმე. — წადით მარცხნივ. — რამდენი ბავშვი გყავთ? — ექვსი. — მაშინ გადით ამ კარებში. უმუშევარმა გააღო მითითებული კარი და პირისპირ აღმოჩნდა თავის ამხანაგთან, რომელიც ქუჩაში უცდიდა. — როგორაა საქმე, მოგცეს დახმარება? — ჰკითხა მან. — არ მომცეს, მაგრამ, ეშმაკმა წაიღოს მათი თავი, შესანიშნავად მუშაობენ.

(ქურნალ „დიკობრაზიდან.“ ჩეხოსლოვაკია)



თურქი საღამოს ლოცვაზე: — დიდება ალაჰს, ამერიკელების დახმარებით ჩვენც სწრაფად ვაგებთ მაღალსართულიან შენობებს.

მხატვარი მ. ვაღბოლხია

რედაქტორის მაგიერ—ვ. ჭელიძე
ნომერი გააფორმა ალ. ბანძელაძემ

სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი),
ი. გიგინეიშვილი, დ. დოლიძე, მ. სააკაშვილი,
ი. ციციშვილი, უ. ჯაფარიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბლენაშვილის ქ., № 91. ტელ. 3-95-38 | გარეკანი დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში, ჩართული გვერდები—ფერადი ბეჭდვ. სტამბაში
ხელმოწერილია დასბეჭდად 18/VIII-52 წ. გამომც. № 195 ნაბეჭდი ფურც. 3 1/2 ტირაჟი—15.000 შეკვ. № 428 უი 02497

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Д р о ш а“ (на грузинском языке)

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ., № 5.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



თბილისის საელმავლო დეპოს. მოწინავე მემან-
ქანე შალვა ბითაძე ოცი წელია ელმავალზე მუ-
შაობს. სანგრძლივი და სანიმუშო მუშაობისა-
თვის იგი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ფანი 3 მან.

68/124



ეროვნული
ბიბლიოთეკა

